თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

2013-2014 წლებში მთავრობამ

რესტორნებსა და სასტუმროებში

20 300 000 დახარჯა

იხილეთ მე-3 გვერდზე

№1 (728) 16 - 22 მარტი, 2015 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრ.

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

პირადი მტრობა თუ თანხების არამიზნობრივი ხარჯვა?

ქუთაისის ახალგაზრდობის პარკისა და ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელებს ბიუჯეტის დაზოგვისკენ მოუწოდებენ

„P.S.ფოტო“ (ნესტან ჩაგელიშვილი) ©

მთავრობის ინიციატივა, „ქამრების შემოჭერასთან“ დაკავშირებით, კრიტიკის მიზეზი გახდა. ქუთაისში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია „ევროპა ჩვენი სახლია“ ადგილობრივ ხელისუფლებას ბიუჯეტის დასაზოგად შერჩეულ პრიორიტეტებს უწუნებს. როგორც ორგანიზაციაში აღნიშნეს, მთავრობა „ქამრების შემოჭერას“ მხოლოდ მანქანებზე თანხების დაზოგვით ვერ მოახდენს, რადგან სხვა სფეროებში ბიუჯეტი არამიზნობრივად იხარჯება.

ორგანიზაციის დამფუძნებელმა, გია გოქაძემ ამჯერად შენიშვნები ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკსა და ბოტანიკურ ბაღში მიმდინარე მშენებლობებთან დაკავშირებით გამოთქვა.

მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის შემოღობვა, პარკის ადმინისტრაციულ შენობაში „ლიტერატურული სარდაფის“ მოწყობა და ქუთაისის ბოტანიკურ ბაღში „იმერული ოდის“ მშენებლობა — ეს ის საკითხებია, რომელთა გამოც ქუთაისის ხელისუფლება ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაში დაადანაშაულეს. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ ლიტერატურული ღონისძიებებისთვის ქალაქში მწერალთა სახლი არსებობს.

ბრალდებებს უსაფუძვლო და შეურაცხმყოფელი უწოდეს ბაღების დირექტორებმა და აღნიშნეს, რომ პირად შურისძიებას ქალაქის ინტერესები არ უნდა შეეწიროს.

გაზეთი „P.S.“ დაინტერესდა, მოეპოვებინა დეტალური ინფორმაცია მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკისა და ქუთაისის ბოტანიკური ბაღის ბიუჯეტისა და მიმდინარე სამუშაოების მიზნობრიობის შესახებ.

მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი და ბოტანიკური ბაღი წინა ხელისუფლების დროს ადგილობრივი თვითმმართველობის იმჟამინდელ მაღალჩინოსნებს ჩააბარეს და მიტოვებული ბაღების გასამწვანებლად მწვანე შუქიც აუნთეს.

გასულ წლებში, ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ბაღებს სათანადო ყურადღება ვერ ექცეოდა. მათ პირვანდელი ფუქცია დაკარგეს, რის გამოც განადგურების პირას იყვნენ.

ბოლო წლების განმავლობაში, ბაღებში შესრულებული სამუშაოების გამო, კმაყოფილებას გამოთქვამენ ადგილობრივები. მათი თქმით, წლების მანძილზე ვერც მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკში და ვერც ბოტანიკურ ბაღში მისვლას არსებული ვითარების გამო ვერ ახერხებდნენ.

პარკის შემოღობვისა და ადმინისტრაციულ შენობაში ლიტერატურული სარდაფის მოწყობის გამო გამოთქმულ კრიტიკას პირადი ინტერესებს უკავშირებს პარკის დირექტორი, **გიზო თავაძე**. იგი გია გოქაძის შენიშვნებს გასულ წლებში მათ შორის არსებულ დაპირისპირებას უკავშირებს.

„მიმაჩნია, რომ ეს მტრობა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე არის. გასულ წლებში გია გოქაძე ადგილობრივ ხელისუფლებას ჟურნალ „განთიადის“, გაზეთ „უქიმერიონისა“ და მხატვართა კავშირისთვის დაფინანსების შეწყვეტას სთხოვდა, მე მაშინ კულტურის სამსახურის უფროსი ვიყავი და შევეწინააღმდეგე. როგორც ჩანს, ამან განაპირობა უსაფუძვლო კრიტიკა. თუმცა, მიუხედავად ამისა, შეუძლებელია, არ დაინახო ის სამუშაოები, რაც აქ ჩატარდა. ოთხი წლის წინ ეს პარკი რომ ჩავიბარე, ნამდვილი სათარეშო და სანაგვე იყო. მაწანწალა ძაღლების, ძროხების და ცხენების მოგერიებას ვერ ავუდიოდით, არ არსებობდა საპირფარეშო, ხეები იყო საპირფარეშოებად ქცეული. ამიტომ ვთხოვე ხელისუფლებას შემოეღობა პარკი, რისთვისაც 5 977 ლარიანი ტენდერი გამოცხადდა. ჩემი ეზოს შემოღობვა ხომ არ მითხოვია? ეს არის ქალაქის საკუთრება და გვინდა, რომ მეტმა ადამიანმა დაიწყოს აქ სიარული. დავიწყეთ გაზონების მოწესრიგება, ხეების გასხვეპვა. ავითვისეთ მიტოვებული ტერიტორია, გარეგანათების მხოლოდ 12 ბოძი იდგა, ახლა 60-ია. 15 სკამი იყო და 70-მდე გავზარდეთ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

ფაქტები და მითები ევროკავშირის შესახებ

მითები და რეალობა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე

„თუ საზღვარზე ვერ დაამტკიცებ, რატომ და რა მიზნით მიდიხარ, მესაზღვრეს უფლება აქვს, არ შეგიშვას“

იხილეთ მე-2 გვერდზე

გადაამოწმეთ, გაქვთ თუ არა მიწა კანონიერად დარეგისტრირებული



რისი ცოდნა გჭირდებათ საჯარო რეესტრში მიწის დასარეგისტრირებლად

იხილეთ მე-3 გვერდზე

ბრიტანელი აგროჟურნალისტის რჩევები ქართულ მედიას, პოლიტიკოსებს და ფერმერებს

იხილეთ მე-4 გვერდზე

როგორ მოვიქცეთ გულმკერდის არეში ტკივილის დროს?

დასავლეთ საქართველოს რეფერალური ჰოსპიტალის კარდიოლოგის, ზურაბ კლიმიაშვილის რჩევა

იხილეთ მე-5 გვერდზე

ჰეპატიტიანი პაციენტებისთვის მედიკამენტების შემოტანა აპრილიდან დაიწყება

იხილეთ მე-5 გვერდზე

მოქალაქეებს დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება პირველი აპრილიდან შეეძლებათ

იხილეთ მე-7 გვერდზე

„გადაყვა „გულობას“ და „კაიფს“ და მიიღო საკადრისი“

რას ფიქრობენ საქართველოში შიდსით დაავადებულებზე

იხილეთ მე-5 გვერდზე

„უკან ჰრჩეს კვალი განათლებული...“

ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლაში აგლა აბზიანიძის სახელობის მათემატიკის კაბინეტი გაიხსნა

იხილეთ მე-6 გვერდზე

PSnews.ge

ISSN 1987-7056

ფაქტები და მითები ევროკავშირის შესახებ

მითები და რეალობა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლაზე

„თუ საზღვარზე ვერ დაამტკიცებ, რატომ და რა მიზნით მიდიხარ, მესაზღვრეს უფლება აქვს, არ შეგიშვას"

ევროკავშირში თავისუფალი გადაადგილება, გარანტირებული სამუშაო თუ ევროპულ უნივერსიტეტებში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა? მითები არამხოლოდ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე, არამედ ვიზის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებითაც არსებობს.

eugeorgia.info **დაინტერესდა, ვის როგორ ესმის საქართველოში უვიზო რეჟიმი ევროკავშირთან? ქუჩაში მოქალაქეებს ვკითხეთ — რას გააკეთებდნენ დღეს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა რომ გვქონდეს?**

— „სამოგზაუროდ წავიდოდი, შეიძლება რომელიმე ქვეყანაში დარჩენაზეც მეფიქრა"

— „მეტი მოტივაცია მექნებოდა ევროპაში სწავლის, საინტერესო ადგილებს დავათვალიერებდი და ბევრ კარგ რამეს გავაკეთებდი"

— „იქ უკეთესი სამუშაო პირობებია, უფრო ადვილად მოვძებნიდი სამსახურს"

— „ახლა გარბიან და მერე რა იქნება?! ალბათ, საქართველო დაიცლება"

— „ჩემი და თურქეთიდან ბულგარეთში ხვალვე წავიდოდა ნათესავთან სტუმრად, იქვეა, 15 კილომეტრში. ახლა ვერ ახერხებს და ვიზას ელოდება"

— „დიდი შეღავათია, რომ ვიზაში ფული გადასახდელი არ მექნება. როდესაც მე და ჩემი მეუღლე ბუდაპეშტში წასვლას ვგეგმავდით, ვცდილობდით, იაფად გამოვსულიყავით. ვიზის ფული 70 ევრო კი დაახლოებით 160 ლარი გამოდიოდა, რითაც შეგვეძლო დამატებით რამდენიმე მუზეუმი მოგვენახულებინა."

ევროპაში თავისუფლად გადაადგილება რომ კარგია, ეს ყველას ესმის, თუმცა ბევრმა არ იცის, რომ ვიზის გარეშე დარჩენა 180-დღიან პერიოდში 90 დღის განმავლობაში შეუძლია.

კიდევ რა პირობები უნდა გაითვალისწინოს საქართველოს მოქალაქემ და როგორ უნდა ისარგებლოს უვიზო მიმოსვლით — ამ შეკითხვით eugeorgia.info მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრს დაუკავშირდა.

„ეს არის შესაძლებლობა მცირე ვადით ანუ ტურისტულად, დასათვალიერებლად წავიდეთ ევროპაში, ვიზის გარეშე, რაც არ ნიშნავს იმას, რომ არაფერი მოგეთხოვება. პირველ რიგში, ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს, რომ უვიზო რეჟიმი არ აძლევს იქ მუშაობის უფლებას და მეორე, საზღვარზე გარკვეული საბუთების წარდგენა მაინც მოეთხოვება: ფინანსური შესაძლებლობის დადასტურება, სასტუმროსა და ბილეთის ჯავშანი, მოსაწვევი. თუ საზღვარზე ვერ დაამტკიცებ რატომ და რა მიზნით მიდიხარ, მესაზღვრეს უფლება აქვს არ შეგიშვას" — აცხადებს მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის (ICMPD) წარმომადგენელი საქართველოში ზურაბ ყორღანაშვილი.

ფინანსური შესაძლებლობის დადასტურებისას, დღიური საარსებო მინიმუმი შენგენის კოდექსითაა განსაზღვრული. თანხის ოდენობა დამოკიდებულია დღეების რაოდენობასა და დარჩენის მიზეზებზე. ეს მონაცემი კი თითოეული ქვეყნისათვის განსხვავებულია. მართალია, ევროკავშირი მონიტორინგს არც საზღვარზე წყვეტს, თუმცა მოქალაქეს ვიზის მისაღებად საელჩოსთან რიგში დგომა და გასაუბრებაზე რამდენიმე თვით ადრე ჩაწერა აღარ მოუწევს. მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრის პროექტის ოფიცერ თამარ კიკვიძის განცხადებით, ამ პროცესში სწორად წარმართულ საინფორმაციო კამპანიას დიდი მნიშვნელობა აქვს.

„შეიძლება ვინმეს გაუჩნდეს შეკითხვა — ეს საბუთები საელჩოშიც ხომ მიმქონდაო? უვიზო მიმოსვლა არის ყველაზე დიდი ფუფუნება იმ თვალსაზრისით, რომ გეხსნება ბარიერები, ყველა იმ ფორმალობას იშორებ თავიდან, რომელიც საელჩოში ვიზის მისაღებად გჭირდება. ვიზა აპრიორი ქვეყანაში შესვლის უფლება არ არის. ვიზა წინაპირობაა, რომ ქვეყანაში გაემგზავრო გარკვეული პერიოდით. რაც უფრო მეტად გაცნობიერებული ინფორმაცია ექნებათ მოქალაქეებს, მით ნაკლები პრობლემები შეგვექმნება ევროპის საიმიგრაციო სამსახურთან და იქიდან გამობრუნებული ხალხის რაოდენობაც ნაკლები იქნება."

აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებიდან დღეს მხოლოდ მოლდოვის მოქალაქეებს შეუძლიათ ევროკავშირში ვიზის გარეშე, ბიომეტრული პასპორტით გადასვლა. eugeorgia.info კიშინიოვის მოსახლეობასაც გაესაუბრა და პირადად მათგან მოისმინა თუ როგორ ისარგებლეს ვიზის ლიბერალიზაციით.

ლუდმილა მუშინსკაია: „შაბათ-კვირას შეგვიძლია მანქანით გადავიდეთ ევროკავშირის ქვეყნებში საყიდლებზე, სულ რაღაც 2-3 საათი გვჭირდება რუმინეთში ჩასასვლელად."

სვეტლანა ტატარუ: „სავიზო რეჟიმის გაუქმების შემდეგ იტალიაში, სლოვენიასა და უნგრეთში ოჯახთან ერთად საკუთარი მანქანით წავედი. საზღვარზე ვიზა არ უთხოვიათ, არც ის გვკითხეს ფული რამდენი გვქონდა, მხოლოდ ბიომეტრული პასპორტები წარვადგინეთ."

ვიქტორია პუიუ: „პირადად მე ევროკავშირის საზღვარი ვიზის გარეშე, მხოლოდ ბიომეტრული პასპორტით გადავკვეთე და პრობლემა არ შემქმნია. ითხოვენ ჯანმრთელობის დაზღვევას, სასტუმროს ჯავშანს, ორი მიმართულებით ბილეთსა და გარკვეული ოდენობის თანხას. იყო უარის თქმის შემთხვევები, იმის გამო, რომ ზოგს მოთხოვნილი დოკუმენტები წესრიგში არ ჰქონდა."

ბოლო 9 თვის მონაცემებით, ბიომეტრული პასპორტით 363 751-მა მოლდაველმა იმოგზაურა, აქედან 277 უკან დააბრუნეს, 213-მა არ შეასრულა ევროკავშირში შესვლის პირობები, 64 კი წარსულში არალეგალური ქმედებების გამო არ შეუშვეს.

მოლდოვის „საგარეო პოლიტიკის ასოციაციის" წარმომადგენლის ვიქტორია ბუკატარუს განცხადებით, კიშინიოვისთვის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული კანონების შესრულება მარტივი არ ყოფილა, თუმცა მოქალაქეების სწორად ინფორმირებულობამ არაპოპულარული ტრანსფორმაციების ტვირთის შემსუბუქება შეძლო.

„კარგად უნდა აუხსნა რას ნიშნავს უვიზო რეჟიმი: ვადები, რა წესები უნდა დაიცვან, რა საქმიანობების განხორციელება შეუძლიათ ევროკავშირში ყოფნის დროს, რა დოკუმენტები ან ცნობა სჭირდებათ იმისათვის, რომ ისარგებლონ უვიზო მიმოსვლით. რიგით მოქალაქეებთან კომუნიკაციას, დამატებითი უპირატესობების ახსნასა და ხალხთან მუდმივი კონტაქტის შენარჩუნებას შეუძლია იმპლემენტაციის ფაზაზე უკეთესი შედეგი უზრუნველყოს."



საქართველოსთან ერთად 2015 წლის ბოლოდან ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებას ელოდება უკრაინაც. პრეზიდენტი პეტრე პოროშენკო იმედოვნებს, რომ მაისში რიგაში დაგეგმილ აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტზე ევროკავშირის ქვეყნები უკრაინის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების გადაწყვეტილებას მიიღებენ. პრეზიდენტისგან განსხვავებით, სამიტზე ცვლილებებს არ ელოდება უკრაინის საერთაშორისო პოლიტიკის ინსტიტუტის წარმომადგენელი როსტისლავ ტომენჩიუკი. ტომენჩიუკი ამის მიზეზად ქვეყანაში მიმდინარე ომსა და გაუკონტროლებელ საზღვრებს ასახელებს.

„ევროკავშირმა უნდა მიიღოს პრაქტიკული გარანტიები, რომ უვიზო რეჟიმის დაწესებით ლტოლვილების, არალეგალი მიგრანტებისა და თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობა არ გაიზრდება. მოლდოვისა და საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინა დღეს სამხედრო კონფრონტაციაშია, რაც ხელს უშლის ახლო მომავალში ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებას. პროცესს ართულებს სახელმწიფო აპარატების უუნარობა სწრაფად განახორციელოს საკანონმდებლო ცვლილებებიც. ასევე, ევროპელ პოლიტიკოსთა განსხვავებული მოსაზრებების გათვალისწინებით, რიგის სამიტზე ვერ იქნება პროგრესი მიღწეული. რუსეთიც ყველაფერს გააკეთებს, რომ რიგაში არ იყოს პოზიტიური სიგნალები აღმოსავლეთის პარტნიორობისათვის," — აცხადებს ტომენჩიუკი.

ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობა მოქალაქეებისთვის, შესაძლოა, მარტივი ჩანს, თუმცა უვიზო რეჟიმის სანაცვლოდ ევროპა პარტნიორი ქვეყნებისგან არაერთი რეფორმის გატარებას ითხოვს, მათ შორის, პერსონალური მონაცემების დაცვას, საზღვრისა და მიგრაციის მართვას, ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუფციასთან ბრძოლას, ადამიანის უფლებების დაცვასა და დისკრიმინაციის აღმოფხვრას. ამასთან, ევროკავშირი არც უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ წყვეტს მონიტორინგს.

რიგაში დაგეგმილი აღმოსავლეთის პარტნიორობის სამიტამდე 2 თვე დარჩა. საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ ევროკომისია უვიზო მიმოსვლის რეკომენდაციას გასცემს, თუმცა ევროკომისიის დადებითი დასკვნის შემთხვევაშიც კი, ევროკავშირის წევრი 28 ქვეყნის თანხმობაზე იქნება დამოკიდებული შეძლებენ თუ არა საქართველოს მოქალაქეები 2016 წლიდან ევროპის ქვეყნებში ბიომეტრული პასპორტებით მოგზაურობას.

მაიკო გაბულდანი
eugeorgia.info

მთავარი რედაქტორი:
ნატო გუბელაძე

დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

ოპერატორი და კორექტორი:
ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

B — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე

გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი").
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი:
UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)
პ - 658
P - 86

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი.

● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
● psnews27@gmail.com
● www.psnews.ge

პირადი მტრობა თუ თანხების არამიზნობრივი ხარჯვა?

ქუთაისის ახალგაზრდობის პარკისა და ბოტანიკური ბაღის ხელმძღვანელებს ბიუჯეტის დაზოგვისკენ მოუწოდებენ

პირველი გვერდიდან

რაც შეეხება ლიტერატურულ სარდაფს, ქუთაისში ლიტერატურული სალონები მეცხრამეტე საუკუნეში იყო და რატომაა პრობლემა ჩვენც შევქმნათ მსგავსი, სადაც არაერთი პოეტისა და მწერლის საღამო მოვაწყვეთ, რეაბილიტაცია ჩავუტარეთ 120 წლის შენობას, სადაც 114 წლის ბუხარია შემორჩენილი. სამწუხაროა, რომ ამდენი საქმის გაკეთების მიუხედავად, მსგავსი პრეტენზიები აქვთ და ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვაში გვადანაშაულებენ," — აღნიშნავს გიზო თავაძე.

ქუთაისის მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკი ადგილობრივი ბიუჯეტიდან 195 000 ლარით ფინანსდება. როგორც პარკის დირექტორი აღნიშნავს, ბიუჯეტის დიდი ნაწილი სახელფასო ფონდსა და კომუნალურ გადასახადებს ხმარდება. პარკს ამჟამად 22 თანამშრომელი ემსახურება.

ბრალდებაზე კომენტარის გაკეთებას საჭიროდ არ მიიჩნევს ბოტანიკური ბაღის დირექტორი. **ამირან ხვადაგიანის** განცხადებით, მსგავს უსაფუძვლო გამონათქვამებზე თავის მართლებას არ აპირებს, რადგან ბიუჯეტის მიზნობრივ თუ არამიზნობრივ ხარჯვაზე ბაღში შესრულებული მასშტაბური სამუშაოები მეტყველებს.

„ამ ადამიანების მისამართით მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მოვიდნენ, ხეს დავარგვევინებ და ერთ კეთილ საქმეს მაინც გააკეთებენ," — აღნიშნავს ამირან ხვადაგიანი, რომელსაც შენიშვნები ჟურნალისტების მიმართაც აქვს. მისი განმარტებით, მედიასაშუალებები მსგავსი განცხადებებით არც კი უნდა ინტერესდებოდნენ.

„არ მესმის, რატომ აქცევთ ამ ადამიანებს ყურადღებას. ისაუბრონ. რამდენიც უნდათ, ჩვენ კი ჩვენს საქმეს გავაკეთებთ. ორი წლის განმავლობაში ბოტანიკურ ბაღში, რომელიც მიტოვებული იყო, 70-მდე პროექტი განვახორციელეთ. ოთხსაუკუნოვან მუხაში სამლოცველო მოვაწყვეთ, ასევე გავაკეთეთ ამფითეატრი, დავგეთ ქვაფენილები, დავამატეთ სკამები, მოვაწესრიგეთ მცენარეები, გავაკეთეთ ვარდნარი, სადაც 1000 ვარდი დავრგეთ, რეაბილიტაცია ჩავუტარეთ ისტორიულ შენობას, რომელშიც დაიბადა და გაიზარდა უდიდესი მეცნიერი ნიკო მარი, შევაკეთეთ შადრევანი და მოვაწესრიგეთ ჭა, ეს არასრული ჩამონათვალია შესრულებული და დაგეგმილი პროექტების. ჩვენი თანამშრომლების დაუღალავი შრომით მივაღწიეთ იმას, რომ ბაღმა თავისი ფუნქცია დაიბრუნა, გვყავს როგორც ადგილობრივი დამთვალიერებელი, ასევე ტურისტები. სწორედ ტურისტებისთვის გვინდა იმერული ოდის ჩადგმა, რომ ისინი იმერელი კაცის ცხოვრებას გაეცნონ. ქეიფი და დროსტარება, რომ მინდოდეს ბაღში, ამისთვის ოდას არ ჩავდგამდი და სხვა შენობებს გამოვიყენებდი. ყოველწლიურად 300 000 ლარის კი არა, მილიონის საქმე კეთდება. ჩვენ ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან გავაფორმეთ მემორანდუმი, მათ გაოცება ვერ დამალეს და გვეკითხებოდნენ ამ მიზერული თანხით ამდენი საქმის გაკეთება როგორ შევძელით," — აღნიშნავს **ამირან ხვადაგიანი.**

ბრალდებებს თავხედურს უწოდებს ბაღის 75 წლის თანამშრომელი თემურ ბანძელაძე, რომელსაც ბოტანიკურ ბაღში მუშაობის 46-წლიანი სტაჟი აქვს.

„ბაღში გასეირნება შეუძლებელი იყო, რადგან არაფერი კეთდებოდა, ჩვენ, ძველმა თანამშრომლებმა, მხოლოდ ის შევძელით, რომ ბაღი შევინარჩუნეთ. ბოლო ორი წელია, ბაღზე ზრუნვა დაიწყო ქალაქმა, ეს თაობების საქმეა, ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს დარჩებათ. მცენარეები არავის უკვირს, ტურისტს რაღაც ახალი უნდა შევთავაზოთ, ამიტომ გვინდა იმერული კუთხის მოწყობა. ის ადამიანი კი, ვინც ამას დაიწუნებს, არის უგუნური."

ქუთაისის ბოტანიკური ბაღი მე-19 საუკუნეში იწყებს არსებობას, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე გაშენებული ბაღის ბაზაზე 1996 წელს შეიქმნა ქუთაისის ბოტანიკური ბაღი, რომელიც ქუთაისის თვითმმართველობას მხოლოდ 2012 წელს გადმოეცა. ამ დროისთვის ბაღის ბიუჯეტი 315 000 ლარს შეადგენს, ბაღს 35 თანამშრომელი ემსახურება.

საბიუჯეტო დაფინანსებასთან ერთად, ბაღი საკუთარ შემოსავლებზე ზრუნვას იწყებს. შემოსავლის ერთ-ერთი წყარო ვიზიტორთათვის დაწესებული ფიქსირებული გადასახადია, თუმცა, როგორც ამირან ხვადაგიანი აღნიშნავს, არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ბაღში შესვლის გადასახადი მხოლოდ ჯგუფებს დაუწესდათ, სკოლებს ბაღში ექსკურსიისთვის 20 ლარის, ხოლო მექორწილეებს 50 ლარის გადახდა უწევს. გასულ წელს ბაღის შემოსავალმა 25 000 ლარი შეადგინა.

ნესტან ჩაგელიშვილი

2013-2014 წლებში მთავრობამ რესტორნებსა და სასტუმროებში 20 300 000 დახარჯა

საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველოს ინფორმაციით, 2013-2014 წლებში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა სხვადასხვა უწყებებმა ტენდერებისა და გამარტივებული შესყიდვების გზით მთლიანობაში 10 600 000 ლარამდე დახარჯეს სასტუმროს მომსახურებაზე, ხოლო 9 700 000 ლარამდე - სარესტორნო მომსახურებაზე.

ორი წლის განმავლობაში სასტუმროს მომსახურების მხრივ ყველაზე დიდი დანახარჯი (ჯამში ტენდერის და გამარტივებული შესყიდვების გზით) მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა (2 000 000 ლარი) გასწია. ამ მხრივ მეორე ადგილზე ქალაქ თბილისის მერია (1 100 000 ლარი), ხოლო მესამეზე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია (520,000 ლარი) გავიდა.

ამავე პერიოდში სარესტორნო მომსახურების მხრივ ყველაზე დიდი დანახარჯი (ჯამში ტენდერის და გამარტივებული შესყიდვების გზით) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (750,000 ლარი) გასწია. დანახარჯის დონით მეორე ადგილზე მთავრობის კანცელარიაა (450,000 ლარი), ხოლო მესამეზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (350,000 ლარი).

ორგანიზაციის განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2013-2014 წლებში სახელმწიფო უწყებები სარესტორნო და სასტუმრო მომსახურების შესყიდვისას უპირატესობას გამარტივებული წესით შესყიდვას ანიჭებდნენ.

„ასე, მაგალითად, გამარტივებული წესით შესყიდული მომსახურება **სარესტორნო მომსახურების** (8.4 მლნ ლარი) **შემთხვევაში 6-ჯერ აღემატება ტენდერით შესყიდულ მომსახურებას** (1.4 მლნ ლარი), **ხოლო სასტუმრო მომსახურების შემთხვევაში** პირდაპირი შესყიდვით (6.1 მლნ ლარი) **თითქმის ერთნახევარჯერ** (1,3-ჯერ) **მეტია დახარჯული ტენდერის გზით განხორციელებულ შესყიდვასთან** (4.6 მლნ ლარი) შედარებით.

2013-2014 წლებში მხოლოდ ტენდერების გზით სახელმწიფო უწყებებმა ჯამში, დაახლოებით, 4.6 მლნ ლარი გადაიხადეს სასტუმროს მომსახურებაში, ხოლო სარესტორნო სერვისში — 1.4 მლნ ლარი.

1.1. ტენდერის გზით შესყიდული სასტუმროს მომსახურება

სასტუმროს მომსახურებაში სახელმწიფო უწყებების ტენდერების მეშვეობით გაწეული თანხები დაახლოებით თანაბრად გადანაწილდა 2013 (2.4 მლნ ლარი) და 2014 (2.2 მლნ ლარი) წლებზე.

ორი წლის განმავლობაში სასტუმროს მომსახურების კუთხით ყველაზე დიდი დანახარჯი ეკუთვნის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს, რომელმაც 2013 და 2014 წლებში შესაბამისად 870,149 და 1.1 მლნ ლარი გადაიხადა. ამ უწყების ორი ყველაზე მსხვილი შესყიდვა (142,229 და 115,785 ლარი) ემსახურებოდა ეროვნული უმცირესობებისთვის ქართული და ინგლისური ენებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნების შესწავლას.

შესყიდვის ხარჯებით რიგით მეორე ქალაქ თბილისის მერიაა, რომელსაც გასულ ორ წელიწადში საშუალოდ 540,000 ლარი აქვს გადახდილი სასტუმროს მომსახურებაში. სამეულში შედის ასევე საფეხბურთო გუნდი ლანჩხუთის „გურია" რომელმაც სასტუმროს მომსახურებაში 2014 წელს 208,982 ლარი, 2013 წელს კი — 23,000 ლარი დახარჯა.

1.2. ტენდერის გზით შესყიდული სარესტორნო მომსახურება

2013-2014 წლებში სარესტორნო მომსახურებაში სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულმა უწყებებმა ტენდერების მეშვეობით, დაახლოებით, 1.4 მლნ ლარი დახარჯეს. თანხები დაახლოებით თანაბრად გადანაწილდა 2013 (761,967 ლარი) და 2014 (593,035 ლარი) წლებზე.

ორი წლის განმავლობაში სარესტორნო მომსახურების კუთხით ყველაზე დიდი დანახარჯი ეკუთვნის ქალაქ ფოთის მერიას, რომელმაც 2013 და 2014 წლებში შესაბამისად 174,597 და 171,132 ლარი დახარჯა. აღნიშნული დანახარჯები მთლიანად ემსახურებოდა უფასო სასადილოში 200-მდე მოქალაქეების ყოველდღიურად სადილით უზრუნველყოფას. მსგავსი ტიპის პროგრამებისათვის ტენდერები აგრეთვე გამოაცხადა ათობით სხვა მუნიციპალიტეტმა. შესყიდვის ხარჯებით რიგით მეორე საქართველოს შსს აკადემიაა, რომელმაც 2013 წელს 139,190 ლარი გადაიხადა სასადილო ობიექტების მომსახურებაში.

2013-2014 წლებში გამარტივებული შესყიდვებით სახელმწიფო უწყებებმა დაახლოებით 6.1 მლნ ლარის ღირებულების სასტუმროს მომსახურება შეისყიდეს, ხოლო სარესტორნო მომსახურებაში გადაიხადეს დაახლოებით 8.4 მლნ ლარი.

2.1. გამარტივებული შესყიდვის გზით შესყიდული სასტუმროს მომსახურება

სასტუმროს მომსახურებაზე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უწყებების გამარტივებული შესყიდვების მეშვეობით გაწეულმა თანხამ 2013 წელს 2.7 მლნ ლარი, ხოლო 2014 წელს 3.4 მლნ ლარი შეადგინა.

ორი წლის განმავლობაში სასტუმროს მომსახურებაზე ყველაზე მსხვილი შესყიდვები საქართველოს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ (517,475 ლარი) განახორციელა, რიგით მეორე კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია (413,118 ლარი).

2.2. გამარტივებული შესყიდვის გზით შესყიდული სარესტორნო მომსახურება

სარესტორნო მომსახურებაზე სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უწყებების გამარტივებული შესყიდვების მეშვეობით გაწეულმა თანხამ 2013 წელს 4.1 მლნ ლარი, ხოლო 2014 წელს 4.3 მლნ ლარი შეადგინა.

ორი წლის განმავლობაში სარესტორნო მომსახურებაზე ყველაზე მსხვილი შესყიდვები საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (732,208 ლარი) განახორციელა, რიგით მეორე კი საქართველოს მთავრობის კანცელარიაა (438,986 ლარი).

აღსანიშნავია, რომ 2013 წელს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამარტივებული შესყიდვებით ჯამში 694,999 ლარის ღირებულების სარესტორნო მომსახურება შეიძინა. 2014 წელს კი ამავე უწყების სარესტორნო მომსახურების შესყიდვის ხარჯები მხოლოდ 40,000 ლარამდე იყო," — წერია TI-ის განცხადებაში.

გადაამოწმეთ, გაქვთ თუ არა მიწა კანონიერად დარეგისტრირებული

რისი ცოდნა გჭირდებათ საჯარო რეესტრში მიწის დასარეგისტრირებლად

საქართველოში მიწის პრივატიზაცია პირველად განხორციელდა 1992 წელს, შემდეგ — 1997 წელს, რის შედეგადაც სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო მფლობელობაში გადავიდა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძირითადი ნაწილი. მიწის განაწილების დროს შემოღებულ იქნა მიწის მესაკუთრეთა სამი კატეგორია.

პირველი კატეგორია მიეკუთვნა იმ ხალხს, ვინც მუმივად დასაქმებული იყვნენ საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. მეორე კატეგორია მიეკუთვნა იმ ხალხს, რომლებიც სოფლად ცხოვრობდნენ და ძირითადი სამსახურის გარდა დასაქმებული იყვნენ საბჭოთა მეურნეობებში. მესამე კატეგორიაში შედიოდნენ სოფლიდან ქალაქად საცხოვრებლად წასული მოსახლეობა, რომელთა უშუალო ოჯახის უფროსი წევრები ცხოვრობდნენ ისევ სოფელში. მიწის პრივატიზაციის შემდგომ წარმოქმნილ პრობლემებზე გვესაუბრება სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი **ნიკოლოზ კიკნაველიძე:**

— მიწის პრივატიზაციის შემდგომ, სოფლის ტერიტორიულ ორგანოებში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო მიწების განაწილების გეგმები და რუკები. საკომლო წიგნის ჩანაწერში გაკეთდა სპეციალური ჩანართები პრივატიზებული მიწების შესახებ. რეფორმის გატარების მერე თითოეულ კომლს გადაეცათ მიღება-ჩაბარების აქტი, სადაც მითითებული იყო, რამდენ ნაკვეთს და ფართობს ფლობდა მესაკუთრე. მიღება-ჩაბარების აქტის მეორე გვერდზე ჩახაზული იყო თითოეული ნაკვეთი ჰორიზონტის მხარეების გათვალისწინებით, ასევე გააჩნდა მინაწერი მოსაზღვრე კომლის ან სავალი გზის შესახებ. მოგვიანებით, საკომლო წიგნების ჩანაწერების მიხედვით 1998-99 წლებში დარიგებული იქნა მთელი საქართველოს მასშტაბით, საკუთრების მოწმობა საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ფაქსიმილიით. ხშირად ამ დოკუმენტს შევარდნაძის მოწმობებსაც ეძახიან.

— ამჟამად სად უნდა მივიდეს მიწის საკუთრებაში რეგისტრაციისათვის მოქალაქე?

— წინა ხელისუფლების დროს, 2004 წლის 31 მაისს იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სადაც ხდება სასოფლო-სამეურნეო მიწის რეგისტრაცია.

— რომელი დოკუმენტი კმარა მიწის საკუთრების დამადასტურებლად?

— დღეის მდგომარეობით, უძრავი ქონების საკუთრების უფლების დამადასტურებელ იურიდიულ დოკუმენტად ითვლება მხოლოდ საჯარო რეესტრის ამონაწერი, სადაც პიროვნების გვარი და სახელის გასწვრივ მითითებულია მისი ID ნომერი, ანუ პირადობის მოწმობის თერთმეტციფრიანი ნომერი. საკომლო წიგნის ამონაწერი, მიღება-ჩაბარების აქტი, შევარდნაძის ფაქსიმილიით გაცემული საკუთრების მოწმობა, მუნიციპალიტეტების გამგეობების მიერ გაცემული ცნობა მოქმედი საგადასახადო სიების მიხედვით, წარმოადგენს იმ დოკუმენტთა ნუსხას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია, პიროვნებამ დაირეგისტრირის საკუთარი ქონება თუ თანდართული აქვს დასარეგისტრირებელი ფართის საკადასტრო აზომვითი ნახაზი ელექტრონულ ვერსიასთან და პირადობის მოწმობის ქსერო ასლთან ერთად.

— ამბობენ, რომ ადრე გაკეთებული საჯარო რეესტრის ამონაწერი ძალადაკარგულია...

— პიროვნებებს, რომელსაც საჯარო რეესტრის ამონაწერი აღებული აქვთ 2006 წელში და პიროვნების სახელ-გვარის გასწვრივ მითითებული აქვთ მხოლოდ დაბადების დრო, ხელახალი რეგისტრაცია აქვთ გასაკეთებელი, რადგან რეესტრის ამონაწერში აუცილებლად უნდა ჩაიწეროს მესაკუთრის სახელის და გვარის გასწვრივ პიროვნების პირადი ნომერი, ასევე მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის დაზუსტების მიზნით ამონაწერის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ საკადასტრო-აზომვითი ნახაზი დამოწმებული „სველი" ბეჭდით ელექტრონულ ვერსიასთან ერთად და ადგილზე შეავსოს განაცხადი ცვლილებების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ.

— რამდენად ხელმისაწვდომია ფინანსური თვალსაზრისით მიწის რეგისტრაცია?

— საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ცვლილებების რეგისტრაცია დღეის მდგომარეობით უფასოა, ასევე უფასოა სარეფორმო სიებით მიღებული სასოფლო-სამეურნეო მიწების პირველადი რეგისტრაცია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების უფლების რეგისტრაციისას ვაწყდებით არაერთ დაბრკოლებას. არასრული დოკუმენტაციის ან დოკუმენტებში რაიმე უზუსტობის არსებობის შემთხვევაში სარეგისტრაციო წარმოება ჩერდება. განმცხადებელს კი ეძლევა დამატებითი დოკუმენტის წარმოდგენისათვის ერთთვიანი ვადა, რომლის ამოწურვის შემთხვევაში სარეგესტრაციო წარმოება მთლიანად წყდება.

— ადრინდელი საქმისწარმოება არ იყო იდეალური, ზოგჯერ მესაკუთრის სახელი არასწორად არის მითითებული დოკუმენტაციაში. როგორ უნდა მოიქცეს ამგვარი პრობლემის მქონე ადამიანი?

— როდესაც მუნიციპალიტეტიდან ვიღებთ ცნობას იმ პერიოდისათვის მოქმედი საგადასახადო სიების მიხედვით, თუ რა ფართობს ფლობს სარეფორმო სიებით პიროვნება კონკრეტულ თემში, ვიღებთ ინფორმაციას მუნიციპალიტეტიდან იმ ფორმით, როგორც არის პიროვნება ხელითნაწერ საგადასახადო სიებში გატარებული. მუნიციპალიტეტებში განაცხადის გაკეთების დროს აუცილებელია თავიდანვე მოვითხოვოთ იმ გვერდის ქსეროასლი დამოწმებული „სველი" ბეჭდით, სადაც პიროვნების რეკვიზიტებია მითითებული, რადგან შეიძლება მუნიციპალიტეტიდან წაღებული განცხადება საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ მიიჩნიოს არადამაკმაყოფილებლად და ოთხი სამუშაო დღის მერე რეგისტრაციაზე უარი, ანუ შეჩერება მოგვივიდეს იმ მოტივით, რომ წარმოდგენილი არ გვაქვს მუნიციპალიტეტიდან მოქმედი საგადასახადო სიის გვერდის ქსეროასლი, სადაც პიროვნების რეკვიზიტებია დატანილი. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მუნიციპალიტეტს უფლება აქვს შემოსული წერილი ან განცხადება 10 სამუშაო დღეში განიხილოს, შესაძლებელია, ჩვენ დავკარგოდ ქონების დასარეგისტრირებლად 18 სამუშაო დღე, რადგან დოკუმენტის ხელახალი წარდგენისას საჯარო რეესტრს უფლება აქვს ოთხ სამუშაო დღეში განიხილოს ჩვენს მიერ წარდგენილი დამატებითი დოკუმენტაცია.

პიროვნება, რომელიც ირეგისტრირებს საკუთარ ფართობს და აღმოაჩენს, რომ მის ნამდვილ სახელს არ ემთხვევა საკომლო ჩანაწერში ან საგადასახადო სიაში ჩაწერილი მისი სახელი მათი იდენტურობის დასადგენად პირადი განცხადების საფუძველზე ვერ მიმართავს სასამართლოს, რადგან დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასამართლო პირად განცხადებას საფუძვლად არ მიიჩნევს ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტაციაში მითითებული გვარი სახელისა და ჩვენი საპასპორტო მონაცემების იდენტობის დასადგენად. სასამართლო წარმოებაში იღებს ჩვენს დოკუმენტაციას, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ ხელთ გვაქვს საჯარო რეესტრის წერილი რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ, სადაც განმარტებულია შეჩერების საფუძველი, ანუ ვიცით, რომ ჩვენს წარდგენილ დოკუმენტებში არსებობს ხარვეზი, მაგრამ მაინც უნდა წარვადგინოთ საჯარო რეესტრში, მხოლოდ იმიტომ, რომ ოთხ სამუშაო დღეში მოგვივიდეს პასუხად შეჩერება, რომელიც საფუძველი გახდება შემდეგ სასამართლო ორგანოებში წარმოების დასაწყებად. სასამართლოს ჩვენს მიერ წარდგენილი დოკუმენტებიდან ერთი თვის ვადაში აქვს უფლება ჩანიშნოს სასამართლო პროცესი. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, სასამართლოში დამატებით გვჭირდება სამი მეზობლის საპასპორტო რეკვიზიტების ქსეროასლები წარსადგენ დოკუმენტებზე თან დასართველად, რომლებიც სასამართლო პროცესზე დაადასტურებენ, დოკუმენტებისა და პიროვნების ურთიერთკავშირს, სავარაუდოდ, სასამართლოსათვის საბუთების მოსამზადებლად შესაძლებელია, დაგვჭირდეს კიდევ სამი სამუშაო დღე.

გაგრძელება **მე-4 გვერდზე**

ბრიტანელი აგროჟურნალისტის რჩევები ქართულ მედიას, პოლიტიკოსებს და ფერმერებს

საქართველოში სოფლის მეურნეობის დარგის განსაკუთრებულად განვითარების პერსპექტივამ და აღნიშნულ თემაზე საკითხების სიღრმისეულად მომზადების აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა აგროჟურნალისტიკის განვითარების ხელშეწყობაც. სწორედ ამ მიზნით, საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორფსის" ორგანიზებითა და დაფინანსებით რეგიონული მედიის ჟურნალისტებისათვის რამდენიმედღიანი ტრენინგი გაიმართა.

ტრენინგს წარმართავდა საერთაშორისო ტრენერი აგროჟურნასლისტიკის საკითხებში ბრიტანელიაგროჟურნალისტი და აგროეკონომისტი, **ჰეზერ როუს ბრიგსი. ის გახლავთ ასევე** ყველის საერთაშორისო ექსპერტი, ხოლო ესპანეთში მიღებული აქვს ხარისხი — მოსავლის აღების აგროკონსულტანტი. ქალბატონი ჰეზერი ამჟამად ხუთი ჟურნალისთვის მუშაობს.

— მინდა, რომ ძალიან წარმატებული საქართველო ვნახო. მინდა, რომ, პირველ რიგში, სიამაყე დავინახო თქვენში. ერთად იმუშავეთ, იყავით გუნდი! — ამ სიტყვებით დაასრულა ქალბატონმა ჰეზერ როუს ბრიგსმა ტრენინგი საქართველოს რეგიონული მედიის წარმომადგენლებთან და მომავალ შეხვედრამდე დაგვემშვიდობა...

ამჯერად სწორედ მასთან ინტერვიუს გთავაზობთ.

(თარგმანისთვის მადლობას ვუხდით „მერსი ქორფსის" წარმომადგენელს, ნონა სამხარაძეს).

— ქალბატონო ჰეზერ, ევროკავშირთან ასოცირებით საქართველო ვალდებულია, ქვეყანაში „HACCP" (საფრთხის ანალიზი და კრიტიკული საკონტროლო წერტილები) სტანდარტი დანერგოს. საინტერესოა, აგრარული მდგომარეობის მიხედვით ევროკავშირის რომელ ქვეყანას შეადარებთ საქართველოს? რას გულისხმობს ეს სტანდარტი, რას ავალდებულებს იგი ფერმერსა და სახელმწიფოს? საერთოდ, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების თვალსაზრისით?

— ბევრმა ქვეყანამ, რომლებიც ევროკავშირს შეუერთდნენ, ეს ვალდებულებები შეასრულეს. ეს არის მაღალი სტანდარტი, რომლითაც გათვლილია, როგორ უნდა იყოს მოწყობილი საწარმოები, ფერმერული მეურნეობები, პირუტყვის სადგომი. მოთხოვნებში ბევრი კრიტერიუმია გაწერილი — საწარმოს, პირუტყვის სადგომის იზოლირება, მწერები ვერ უნდა შედიოდნენ, უნდა გააჩნდეს დამცავი ბადე, საწარმოს დეზინფექცია უნდა უტარდებოდეს, ირეცხებოდეს კედლები და იატაკი, არ უნდა იყოს გამოყენებული ხისა და ისეთი ხელსაწყოები, რომლებიც იჟანგება, პირუტყვი ბალახით ან სპეციალურად დამზადებული საკვებით უნდა იკვებებოდეს და არა საყოფაცხოვრებო ნარჩენებით. თუ საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გამოიკვებება, ის საათობით უნდა ადუღდეს და ასე შემდეგ. საქართველოც მიუახლოვდება და მოერგება ამ სტანდარტს, სხვა შემთხვევაში ვერ შეძლებთ თქვენი პროდუქცია ევროკავშირის ქვეყნების ბაზარზე გაიტანოთ. ამ სტანდარტის მთავარი არსი ის არის, რომ ყველა მომხმარებელს აქვს უფლება მიიღოს უვნებელი საკვები. რაც შეეხება სახელმწიფოს როლს, ფერმერებს სემინარები და ტრენინგები უნდა ჩაუტაროს და ასწავლოს, რა არის ეს სტანდარტი და როგორ მოაწყონ მათი მეურნეობები, საწარმოების სტანდარტის შესაბამისად.

დიახ, რატომაც არა, — საქართველოც მიუხლოვდება სტანდარტებს. საქართველოც გააკეთებს ამას და თქვენ იამაყებთ ამით.

არაჩვეულებრივი ქართველი სპეციალისტი გყავთ სურსათის უვნებლობის საკითხებში, ტრენერი ეკატერინე ბურკაძე, რომელიც ძალიან კარგი რესურსია ამისთვის. დიახ, საქართველო ევროკავშირის სტანდარტებთან მივა.

ძალიან ბევრი ქვეყანაა, ვინც დღეს უკვე ევროკავშირშია, რომელსაც შევადარებდი საქართველოს.

ევროკავშირის მთავარი მახასიათებელი არის მრავალფეროვნება. ევროკავშირი კი აფასებს, პატივს სცემს თითოეული ქვეყნის მრავალფეროვან ტრადიციებს.

— ამჟამად საქართველოში კოოპერატივების შექმნის პროპაგანდა მიმდინარეობს. საინტერესოა, თქვენ როგორ აფასებთ ამ პროცესს და რა სიკეთის მოტანა შეუძლია მას საქართველოსთვის?

—კოოპერატივის თემა — რთული კითხვაა. თქვენ ძალიან მძიმე წარსული და გამოცდილება გაქვთ ამ კუთხით — საბჭოთა კავშირის დროს კოოპერატივების ცუდმა მუშაობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს დღეს კოოპერატივის განვითარებაზე. გირჩევთ, რომ გამოიყენოთ სიტყვა „გუნდი", „გუნდური მუშაობა", „ფერმების გაერთიანება". ადამიანები, რომლებიც ძალიან ახლოს მუშაობენ ერთმანეთთან და არა ცალ-ცალკე. მოდი, ერთად ვიმუშაოთ აგროჟურნალისტებმა, პოლიტიკოსებმა, ფერმერებმა. ფერმერში მე ვგულისხმობ ყველა მწარმოებელს, — იქნება ის მცირე თუ — მსხვილი.

— რა დაინახეთ ყველაზე პოზიტიური საქართველოში მეცხოველეობის დარგში?

— პირველი პოზიტივი და შთაბეჭდილება რაც საქართველოში მივიღე, არის „მერსი ქორფსის" ალიანსების პროგრამა, — ვნახე, მაგალითად, როგორ აუმჯობესებთ ჯიშს და ვნახე ბუღები, რომლებიც სრულიად ადაპტირებულია ქართულ გარემოსთან. ამით ძალიან კარგი შედეგიც დავინახე. ეს არის ძალიან პოზიტიური. მოვიხიბლე იმ ნაბიჯებით, რომლითაც ეს პროგრამა ავითარებს მესაქონლეობას.

— საქართველოში ერთ-ერთი უმძიმესი პრობლემაა ბრუცელოზის საფრთხისგან დაუცველობა. რა შეგიძლიათ გვირჩიოთ ამ საკითხის მოსაგვარებლად?

— ბრუცელოზი არის საკმაოდ სერიოზული დაავადება და საქართველომ უფრო პროფესიონალურად უნდა დაიწყოს ამაზე ფიქრი. სისხლის სინჯები უნდა აიღოს, აღმოაჩინოს. მერე მონიტორინგი გაუწიოს და იმ საქონელს, რომელსაც აღმოაჩნდება ბრუცელოზი, და უნდა უზრუნველყოს მისი დაკვლა.

თქვენ უნდა გახდეთ ბრუცელოზისგან თავისუფალი ქვეყანა. ძალიან ბევრმა ქვეყანამ აიცილა თავიდან ეს საფრთხე იმიტომ, რომ სახელმწიფომ აიღო მთავარ სამიზნედ ბრუცელოზის დაავადებასთან ბრძოლა.

მოვისმინე თქვენი მინისტრისგან, რომ აპირებენ, რომელი ფერმერის საქონელსაც აღმოაჩნდება ბრუცელოზი, მას გადაუხადონ კომპენსაცია, მიეხმარონ დაკვლაში და ა.შ. ეს არის ძალიან პოზიტიური ნაბიჯი და ეს შეიძლება, იყოს ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ ძირითად საკითხად გამოტანილი. თქვენ უნდა გახდეთ ბრუცელოზისგან თავისუფალი ქვეყანა. ამას უფრო მეტი პროფესიონალური მიდგომა სჭირდება.

— ქალბატონო ჰეზერ, ამ დაავადებასთან საბრძოლოველად, ალბათ, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, მეტი ყურადღება მიექცეს პირუტყვის სადგომის სწორად მოწყობას. საერთოდ რა მნიშვნელობა აქვს ამ საკითხს?

— ჩემს ქვეყანაში ბოსლების მოწყობა არის ძალიან მნიშვნელოვანი და განსაკუთრებით, — ზამთარში. სანამ აააშენებთ, უნდა ჰკითხოთ ვეტერინარს, როგორ ააშენოთ. პირველ რიგში, ყურადღება უნდა მიაქციოთ ვენტილაციას. არ უნდა იყოს ძალიან სიცივე და არც ძალიან სითბო. სადგომი კომფორტული უნდა იყოს ძროხისთვისაც და პატრონისთვისაც.

ჩვენ გვყავს პროფესიონალები ამ სფეროში, ვინც გეგმავენ ძროხების სადგომებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენ არ შეგიძლიათ ეს გააკეთოთ. დაგეგმეთ, ჰკითხეთ ვეტერინარს და თქვენც შეგიძლიათ გააკეთოთ, მოაწყოთ შესაბამისი სადგომები. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მეტი პროდუქტიც მივიღოთ და სუფთა პროდუქტიც.

— რა შეხედულება შეგექმნათ ქართველი ფერმერებზე და რას ურჩევდით მათ?

— მე ვფიქრობ, რომ ფერმერებს აქვთ ძალიან დიდი შესაძლებლობა საქართველოში; მათ უნდა ისწავლონ თავიანთი საქმიანობის დაგეგმვა. მათ ძალიან დიდი მომავალი აქვთ. ფერმერები არიან ხერხემალი საქართველოს განვითარებისათვის.

— ქართველ ჟურნალისტებთან მუშაობის შემდეგ, რა შთაბეჭდილებით მიდიხართ, აქვს თუ არა მომავალი აგროჟურნალისტიკას ჩვენთან?

— მინდა, რომ თქვენ იამაყოთ საქართველოთი, თქვენ გაქვთ ძალიან დიდი მომავალი; გაქვთ ძალიან კარგი მიწა — გამოუყენებელი, და ამ ყველაფერს სჭირდება მეტი ორგანიზება. ვფიქრობ, რომ აგროჟურნალისტიკას უდიდესი პერსპექტივა აქვს საქართველოში.

დაიმახსოვრეთ, რომ თქვენ ხართ განსხვავებული, ჟურნალისტიკის სხვა მიმართულებებისგან. აგროჟურნალისტიკა არის მნიშვნელოვნად განსხვავებული მიმართულება. თქვენ გადასცემთ ცოდნას, ინფორმაციას, რომელიც მწარმოებელს ეხმარება, გაზარდოს საკუთარი ბიზნესი და წარმოება.

— საინტერესოა, თქვენთან, ინგლისში როგორ განვითარდა აგროჟურნალისტიკა?

— გარდა იმისა, რომ ჩვენ, ჟურნალისტებმა, თვითონ სოფლის მეურნეობა შევისწავლეთ, ასევე შევისწავლეთ, თუ როგორ ვწეროთ სოფლის მეურნეობაზე და, რაც მთავარია, ვწეროთ პოზიტივი, ვაჩვენოთ მკითხველს „გაღიმებული" და კმაყოფილი ფერმერი. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, — ახალი ამბავი მოაქციოთ თავში, რომ მკითხველს ვიზიდავთ. მათ უნდათ, რომ წაიკითხონ და უნდა წავაკითხოთ. მათ უნდა შთავაგონოთ, რომ წაიკითხონ ამ თემაზე. ეს ისეთი თემაა, სადაც ტერმინი „მაინც წაიკითხავენ", — არ მუშაობს.

— ქალბატონო ჰეზერ, როგორც ვიცით, საქართველოში პირველად ხართ, საინტერესოა, ქართული სამზარეულოდან რამ მოგხიბლათ ყველაზე მეტად?

— მშვენიერი ღვინო გაქვთ. წავიკითხე ანგარიშში, რომ მექსიკაში ძალიან პოპულარული ხდება ქართული ღვინო.

მიყვარს ღვინო და ვისურვებდი, რომ როდესაც ინგლისში შევალ ერთ-ერთ მაღაზიაში, მქონდეს არჩევანი, ვიყიდო ესპანური, იტალიური თუ ქართული ღვინო. ან ვიყიდო ქართული ყველი, — რატომაც არა. იამაყეთ!

ნატო გუგელაძე

გადაამოწმეთ, გაქვთ თუ არა მიწა კანონიერად დარეგისტრირებული

რისი ცოდნა გჭირდებათ საჯარო რეესტრში მიწის დასარეგისტრირებლად

მე-3 გვერდიდან

იგივე პროცესები მეორდება იმ შემთხვევაშიც, თუ ჩვენს კუთვნილებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწას ვარეგისტრირებთ, შევარდნაძის დროს გაცემული საკუთრების მოწმობით, როდესაც სახელის უზუსტობა ჩნდება წარსადგენ დოკუმენტებში, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტებზე ყურადღების გამახვილება არ ღირს, რადგან თითქმის 90% დეფექტურადაა შევსებული, შესაბამისად, ამ დოკუმენტს ნაკლებად აქცევს ყურადღებას საჯარო რეესტრი. მიღება-ჩაბარების აქტი უნაკლოდ რომ ჩაითვალოს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ნუმერაცია მინიჭებული, დოკუმენტზე ასევე დატანილი უნდა იყოს გადაწყვეტილების ნომერი, მიწის განაწილების კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა, დოკუმენტის გაცემის თარიღი გარკვევით (რიცხვი, თვე წელი), ნაკვეთების რაოდენობა და მთლიანი ფართი.

— როგორ უნდა დარეგისტრირდეს სამემკვიდრეო მიწის ფართი?

— ამ შემთხვევაში მემკვიდრემ სამკვიდროს მიღების ვადებში (ექვსი თვე) უნდა შემოიტანოს განცხადება სანოტარო ბიუროში ნებისმიერ ნოტარიუსთან, წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომ თვითონ არის მამკვიდრებლის მემკვიდრე, ასევე იმ ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რასაც მოიცავს სამკვიდრო მასა.

თუ მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრე (მეუღლე) გარდაცვლილია ან არ იმყოფებოდა ქორწინებაში და მისი უახლოესი მემკვიდრე არის ძმისშვილი ან დისშვილი განსაკუთრებით რთულდება ნოტარიუსთან წარსადგენი დოკუმენტების შეგროვება, რადგან, ამ შემთხვევაში, მამკვიდრებელის გარდაცვალების მოწმობასთან ერთად, წარდგენილი უნდა იყოს მის ქონებასთან დაკავშირებული დოკუმენტები, მისი დაბადების საარქივო მოწმობა, ასევე მისი მშობლების გარდაცვალების საარქივო მოწმობები, მათი ქორწინების მოწმობა ასეთის არსებობის შემთხვევაში, მისი მშობლების საკომლო ჩანაწერი, სადაც მამკვიდრებლის დედმამიშვილები იქნება ჩაწერილი, რომლითაც დგინდება კავშირი მეორე რიგის მემკვიდრესა და მამკვიდრებელს შორის. აღნიშნული თითოეული დოკუმენტების მოძიება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ საარქივო მასალების ოფიციალური გამოთხოვით, რომელიც ფასიანი მომსახურეობაა. არც თუ ისე იშვიათია შემთხვევა, დაბადებისა და გარდაცვალების მოწმობებს შორის სახელების სხვაობისა.

მოგეხსენებათ, მამკვიდრებლის სიცოცხლეში ხშირად არის შემთხვევა, როდესაც მემკვიდრეებს (შვილებს) შორის ურთიერთობა თითქმის ბოლომდე გარკვეულია, რადგან მამკვიდრებელი თვლის, რომ შვილებს მან ყველაფერი მისცა და მის საკუთრებაში არსებული დარჩენილი ქონება თავისთავად მისი მეურვე შვილის საკუთრებას წარმოადგენს. მაშინ, როდესაც არ არსებობს ანდერძი, მამკვიდრებლისა და მისი პირველი რიგის მემკვიდრის (მეუღლის) გარდაცვალების შემთხვევაში, მეურვე შვილი ვერ ირეგისტრირებს სამკვიდროს დედმამიშვილების თანხმობის გარეშე, რადგან იურიდიულად ისინიც პოტენციურ მემკვიდრეებს წარმოადგენენ, რაც შეიძლება გახდეს დედმამიშვილების დაპირისპირების საფუძველი.

— რატომ არის მამკვიდრებლის დატოვებული მიწის დაკანონება აუცილებელი?

— მიუხედავად იმისა, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების დარეგისტრირება გარკვეულ სიძნელეებთან და ფინანსებთანაა დაკავშირებული, აუცილებელია მისი რეგისტრაცია, რადგან არსებობს საფრთხე, რომ თავისუფალმა მოქალაქემ აღნიშნულ ფართზე მოამზადოს დოკუმენტაცია ეკონომიკის სამინისტროში წარსადგენად, თუმცა ეკონომიკის სამინისტრო თავის მხრივ უმეტეს შემთხვევაში ათანხმებს შესაბამის მუნიციპალიტეტთან საპრივატიზაციოდ გამოსატან ფართობების ნუსხას. შესაძლებელია, აღნიშნული ფართობი გამოტანილ იქნეს საპრივატიზაციოდ და აუქციონის წესით შეიძინოს ნებისმიერმა მოქალაქემ, აღნიშნული მიწის გადაყიდვის შემთხვევაში, მყიდველი თავისუფლდება ყველანაირი ვალდებულებებისგან, რადგან იგი სარგებლობს პატიოსანი მყიდველის სტატუსით.

როლანდ ხოჯანაშვილი

ექიმის რჩევები

როგორ მოვიქცეთ გულმკერდის არეში ტკივილის დროს

დასავლეთ საქართველოს რეფერალური ჰოსპიტალის კარდიოლოგის, ზურაბ კლიმიაშვილის რჩევა

ტკივილი გულ-მკერდის არეში საკმოდ ხშირია და მას ექიმთან მიმართვიანობის კუთხით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. ის სხვადასხვა ლოკალიზაციის, ხასიათისა და ინტენსივობის დისკომფორტს გულისხმობს, რომელიც ხშირად სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების გამოვლინებაა და დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. სიცოცხლისთვის საშიში დაავადებებით გამოწვეული ტკივილის შემთხვევაში, დროული ჩარევა მნიშვნელოვნად აუმჯობესებს გამოსავალს და პროგნოზს.

გამოიყოფა გულ-მკერდის არეში ტკივილის ორი ძირითადი ჯგუფი:

1. გულსისხლძარღვთა დაავადებით გამოწვეული კარდიული ტკივილი (გულის იშემიური დაავადებით — სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი, გულის კუნთისა და პერანგის ანთებითი დაავადებებით — მიოკარდიტი, პერიკარდიტი, გულის სარქველების პათოლოგიით, გულიდან გამომავალი მთავარი სისხლძარღვის — აორტის პათოლოგიით, ფილტვის არტერიების თრომბოემბოლიით — დახშობით გამოწვეული ტკივილი);

2. არაკარდიული ტკივილი, რაც შეიძლება, გამოწვეული იყოს ფილტვებისა და შუასაყრის (ფილტვებს შორის სივრცე) პათოლოგიით, კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებით, ხერხემლის მალების ოსტეოქონდროზით, ნევრიტით, გულმკერდის ჩონჩხის კუნთების პათოლოგიით, ასევე – ჰერპეს-ვირუსული ინფექციით.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს გულსისხლძარღვთა დაავადებებით გამოწვეული ტკივილი, რომელიც ხშირად საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს. კლასიკურ შემთხვევაში სტენოკარდიული ტკივილი ლოკალიზდება არა გულმკერდის მარცხენა ნახევარში, არამედ მკერდის ძვლის უკან და აქვს მოჭერითი, ან სიმძიმის, წვის ხასიათი (შეიძლება, ტკივილი გადაეცემოდეს ზედა კიდურებში, კისერში, ქვედა ყბაში, ბეჭში), თუმცა სხვა ხასიათისა და ადგილმდებარეობის ტკივილი არ გამორიცხავს კარდიალურ წარმოშობას.

გულმკერდში ტკივილის სიმპტომის ვარიაბელურობა და მისი გამომწვევი დაავადებების მრავალფეროვნება ხშირად პროფესიონალ ექიმსაც საკმაოდ დიდ სირთულეს უქმნის და სწორი დიფერენცირებისათვის საჭიროებს დამატებით ლაბორატორიულ და ინსტრუმენტალურ გამოკვლევებს.

როგორ უნდა მოვიქცეთ:

ადამიანებმა, რომელთაც უკვე დადგენილი აქვთ გულსისხლძარღვთა დაავადების ესა თუ ის ფორმა, გავლილი აქვთ კარდიოლოგთან კონსულტაცია და, როგორც წესი, მიღებული აქვთ რჩევები, იციან, როგორ იმოქმედონ. მათ კი, ვისაც ტკივილი გულ-მკერდში პირველად აქვთ, მინდა, ვურჩიო, რაც შეიძლება სწრაფად მიმართონ ექიმს — გამოიძახონ სასწრაფო დახმარების ბრიგადა, მიაკითხონ ახლომდებარე კლინიკას.

მნიშვნელოვანია, რომ არ აყვნენ შიშს, პანიკას, რადგან მაშინაც კი, თუ ტკივილი მიოკარდიუმის ინფარქტით არის გამოწვეული, დროული (განსაკუთრებით პირველ 3 საათში) ქმედებების შემთხვევაში, სრულიად შესაძლებელია, რომ გულის დაზიანება თავიდან იქნას აცილებული ან – მინიმუმამდე დაყვანილი. ამისათვის თანამედროვე კარდიოლოგიას საკმარისი საშუალებები გააჩნია.

საბედნიეროდ, ეს საშუალებები გვაქვს საქართველოშიც და პრაქტიკულად, მის ყველა რეგიონში. რაც შეეხება გულის არეში ტკივილის დროს ნიტროგლიცერინის გამოყენებას, გამოუცდელი ადამიანისათვის ეს არც თუ ისე უსაფრთხოა და გარკვეულ შემთხვევაში, მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად, შეიძლება გაუარესებაც კი გამოიწვიოს.

გულმკერდის არეში ტკივილის დროს განსაკუთრებული ყურადღება მართებთ ე.წ. გულსისხლძარღვთა დაავადებების მაღალი რისკის მქონე ადამიანებს. ასეთები პირველ რიგში არიან — არაჯანსაღი ცხოვრების წესით (არეული კვების რეჟიმი, ზედმეტი წონა, მცირე ფიზიკური აქტივობა, მწეველობა) მცხოვრები მამაკაცები, 40 წელს ზევით, ქალბატონები მენოპაუზის შემდგომ პერიოდში, ადამიანები, რომელთაც აქვთ მაღალი არტერიული წნევა, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ.

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ გულის იშემიური დაავადების განვითარება საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში (წლები) მიმდინარეობს. როდესაც ტკივილი გულ-მკერდის არეში ამ დაავადებით არის გამოწვეული, ეს მის უკვე შორსწასულ ფორმაზე მიუთითებს.

თანამედროვე კარდიოლოგიას საკმარისად ბევრი და ეფექტური სადიაგნოსტიკო საშუალება გააჩნია დაავადების ადრეულ-საწყის ეტაპზე გამოსავლენად. ასეთ შემთხვევაში კი, პროფესიონალი ექიმის რჩევების გათვალისწინებით, სრულიად შესაძლებელია, თავიდან იქნეს აცილებული ისეთი საშიში გართულებები, როგორიცაა სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი, ინსულტი და ა.შ.

(R)

„გადაყვა „გულავბას" და „კაიფს" და მიიღო საკადრისი"

რას ფიქრობენ საქართველოში შიდსით დაავადებულებზე

მე-20 საუკუნის შავი ჭირი — ასე უწოდებენ დაავადებას, რომელმაც დაწყების დღიდან დღემდე 30 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

შიდსი — შეძენილი იმუნოდეფიციტის სინდრომი, მისი გამომწვევი ვირუსით ინფიცირებულების რიცხვი ამჟამად სარეკორდო — 40 მილიონს აღწევს.

საქართველოში, უპირველეს რისკ-ჯგუფს ნარკომანები წარმოადგენენ, მაგრამ დაავადებულთა რიცხვი მხოლოდ ნარკომანთა წრით არ შემოიფარგლება. არსებობს შემთხვევები, როდესაც დედიდან შვილზე გადავიდა, მეუღლიდან — მეუღლეზე. რამდენიმე წლის წინ ქუთაისში იყო შემთხვევა, როცა დაინფიცირებული სისხლისგადასხმით ათეული ადამიანი დაავადდა. აქედან გამომდინარე, შიდსი გადაიცემა როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად.

საქართველოში პირველი შემთხვევა 1989 წელს დაფიქსირდა, 2014 წელს კი 566 ახალი შემთხვევა აღრიცხეს.

მოსახლეობის უმრავლესობა მას სიკვდილთან აიგივებს, ინფიცირებულებს კი — ნარკომანებთან, ჰომოსექსუალებსა და მეძავებთან. ძნელად წარმოუდგენიათ, სხვა კატეგორიის ხალხიც თუ შეიძლება იყოს დაავადებული. ფაქტია, მოსახლეობის ნაწილმა არ იცის, რა გზებით ხდება ამ დაავადების გადადება და დაინფირებულებთან საუბარსაც კი გაურბიან.

დათო (პირობითი სახელია) 27 წლისაა და აივ ინფექცია/შიდსი 4 წლის წინ დაუდგინეს, შემთხვევითი სექსუალური კავშირის შემდეგ. მისი თქმით, მისი ცხოვრება დასრულდა.

„ამ დაავადების აღმოჩენის შემდეგ ხალხი გამარჯობასაც არ მეუბნება ნორმალურად, სამსახურიდანაც მომიწია წამოსვლა. ისეთი დისკომფორტი მქონდა, მეგობრებიც ჩამომშორდნენ. მოკლედ, აღარავის ვადარდებ, აღარც ვჭირდები, ჩემი ყველას ეშინია."

დათოს მსგავსი კიდევ ბევრია, ვისაც ერთმა შეცდომამ ცხოვრება თავდაყირა დაუყენა, მოსახლეობა კი მათ „კეთროვანებივით" ექცევა, მაშინ, როცა ყველაზე მეტად ახლა სჭირდებათ გვერდში დგომა, მეგობარი და თანაგძნობა.

„თუ არ რიყავენ მათ, ვისაც ტუბერკულიოზი, C ჰეპატიტი, სიმსივნე, ან თუნდაც გრიპი აქვთ, რა დავაშავეთ ჩვენ? ჩვენც ხომ ისევე ავად ვართ, როგორც ისინი? რატომაა, რომ ხალხის თვალებში ზიზღს ვხედავთ? რატომ მიაჩნიათ ეს დაავადება სირცხვილად? ჩვენც ხომ ჩვეულებრივი ადამიანები ვართ ჩვენი გასაჭირით? ამ კითხვებზე ძალიან მინდა, ვინმემ მიპასუხოს," — განაცხადა დათომ ჩვენთან საუბრისას.

ამ კითხვებზე პასუხის მიღება რამდენიმე ადამიანისგან ჩვენც ვეცადეთ:

მანანა, დიასახლისი, 41 წლის: „შიდსით დაავადებულები ჩემში სიბრალულს და შიშს იწვევენ. თეორიულად ვიცი, რომ ადვილად გადამდები დაავადება არ არის, მაგრამ რეალურად მეშინია მათთან ურთიერთობა. მგონია, რომ მაინც შეიძლება რაღაც მოხდეს და მეც გადამედოს. ალბათ, ეს შიში უსაფუძვლოა, მაგრამ თავს ვერაფერს ვუხერხებ. სირცხვილად კი, ჩემი აზრით, იმიტომ მიაჩნიათ, რომ ის უმეტესად ნარკომნებს და მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს ემართებათ."

ლაშა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, 22 წლის: „სადღაც წავიკითხე, რომ შიდსი ღმერთმა მოუვლინა ჰომოსექსუალებს სასჯელად, ალბათ, მოსახლეობის რაღაც ნაწილიც ასე ფიქრობს და იმიტომ მიიჩნევენ სირცხვილად, თორე მე ვერ ვხვდები, რა არის ამაში სასირცხვილო? ადამიანი განუკურნებელი ვირუსით არის დაავადებული, „დღეები" აქვს დათვლილი, მას თავისი დარდიც ეყოფა, ჩვენ რომ არ დავუმატოთ."

შალვა, მძოლი, 52 წლის: „სირცხვილია, აბა, რა არის, ნორმალურად რომ ეცხოვრა, არ დაემართებოდა, მაგრამ გადაყვა „გულავსა" და „კაიფს" და მიიღო საკადრისი."

კვლევამ, რომელიც ჩავატარე სპეციალურად ამ საკითხზე: რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება ამ თემაზე, არც ისეთი საგანგაშო შედეგი მომცა, როგორც ვვარაუდობდი, გამოკითხულთა 89%-მა იცოდა, რა გზებით ხდება ამ დაავადების გადადება, თუმცა გაურკვეველი რჩება, რატომ რიყავს საზოგადოება დაავადებულებს, თუ იცის, რომ მათ საფრთხე არ ემუქრებათ. მათ ხშირად სამედიცინო დახმარებაზე უარს ეუბნებიან და იძულებულსაც ხდიან, დამალონ აივ სტატუსი.

მომხდარა ასეც: — ინფიცირებულის დედამ შეიტყო შვილის მდგომარეობა და 10 წლის შვილთან ერთად სახლიდან გააგდო.

— პაციენტს ესაჭიროებოდა თვალის ოპერაცია, გაამხილა თავისი სტატუსი საავადმყოფოში, რის შემდეგაც კატეგორიული უარი უთხრეს დახმარებაზე, შიდსით დაავადებულთა დახმარების ფონდის ჩარევით პრობლემა მოგვარდა.

„აივ ინფექცია/შიდსის პრევენციისა და ადვოკაციის" ფარგლებში განხორციელებულ პროგრამაში, რომელიც 2011 წელს ჩატარდა, 15-მა ინფიცირებულმა მიიღო მონაწილეობა. ისინი ამბობენ, რომ განიცდიან დისკრიმინაციულ ქცევებს საზოგადოებისაგან: მომხდარა მათი გამოძევება რელიგიური ღონისძიებებიდან; მიუყენებიათ სიტყვიერი შეურაცხყოფა; ყოფილა ფსიქოლოგიური ზეწოლა.

ია ასათიანი

C ჰეპატიტიანი პაციენტებისთვის მედიკამენტების შემოტანა აპრილიდან დაიწყება

C ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტის „სოფოსბუვირის" შემოსატანად მემორანდუმი აპრილში გაფორმდება. შეთანხმების ოფიციალურად გაფორმების შემდეგ, მედიკამენტი რამდენიმე დღეში უკვე საქართველოში იქნება.

როგორც საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო აცხადებს, ხელშეკრულებაზე ხელმოწერა შედგება აპრილში, კონტრაქტის მხარეები იქნებიან საქართველოს მთავრობა, ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრი და კომპანია „გილიარდი".

„ყველა, ვისაც მკურნალობა სჭირდება, მიიღებს ამ მკურნალობას, რათა მინიმუმამდე იყოს დაყვანილი ახალი შემთხვევების აღმოცენება," — აცხადებს დავით სერგეენკო.

მისივე ინფორმაციით, დასაწყისისათვის კონტრაქტით საქართველოში შემოვა პრეპარატი „სოფოსბუვირი", ხოლო მომდევნო ეტაპზე მას შეცვლის ახალი თაობის კომბინირებული პრეპარატი, რომელშიც შედის როგორც „სოფოსბუვირი", ასევე მეორე ანტივირუსული პრეპარატი „ლედიპასვილიც". ამ კომბინირებულ პრეპარატს „ჰარვონი" ჰქვია.

„ასე რომ, დავიწყებთ „სოფოსბუვირით" და შემდგომ ეტაპზე ახალი თაობის მედიკამენტის მიწოდება შეგვეძლება მოსახლეობისთვის," — ამბობს დავით სერგეენკო.

დარაბებს შიგნითაც გაზაფხულია

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილები ქუთაისის მესამე საჯარო სკოლაში შემოქმედებითი დღესასწაულია.

ისე ადრე და ისე თამამად მოვიდა წელს გაზაფხული ქუთაისში, ქუჩებში ვეღარ დაეტია, ყველა კარი და სარკმელი შეაღო.

ქუთაისის მესამე საჯარო სკოლის ძველი, სქელი კედლების მიღმაც ნამდვილი გაზაფხულია — კიბეს აივლით და ცისარტყელას ფერებად აფეთქებული ნატვრის ხე გეგებებათ, დიდი კედელი ათასფერ ყვავილებს მოუჩითავს...

სკოლის ბიბლიოთეკის ვრცელი და ნათელი დარბაზის ერთ კუთხეში მთლად გადარეულა გაზაფხული — ცქრიალა გოგონები ჯადოქრებივით, უბრალო, ფერად ფურცლებს იებად, კესანებად, გვირილებად, პეპლებად, მერცხლებად აქცევენ. იქვე არიან მათი ოსტატებიც — მესამე სკოლის „ხელოვნების ქურუმები" — **მადონა მხეიძე** და **მაია ჩიკვაიძე.**

სწორედ ამ ქალბატონების დამსახურებაა ბავშვებს, ასაკის მიუხედავად, ასე რომ უყვართ ხელოვნება, მათი ფარული ნიჭის და მისწრაფებების გამოვლენაც. სკოლის დირექტორის, **თამაზ ჭაბუკიანის** შეფარული რომანტიკულობაც არაერთხელ გამხდარა შთაგონების თუ ინსპირაციის წყარო მოსწავლე-მასწავლებელთათვის.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების გაკვეთილები მესამე სკოლაში შემოქმედებით დღესასწაულებად არის ქცეული. სხვადასხვა მასალით, განსხვავებული ტექნიკით შესრულებული მოსწავლეთა ნამუშევრები ათბობს და ალამაზებს სკოლის კედლებს.

ფანტაზიის და მარჯვე ხელების წყალობით აქ არაერთი საინტერესო, ორიგინალური გამოფენა გამართულა და საკმაოდ მაღალი სტუმრების გულწრფელი აღტაცებაც დაუმსახურებია.

ირმა მარდალეიშვილი

მასწავლებლის პოეზიის საღამო პირველ სკოლაში

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის №1 სკოლის ბიბლიოთეკაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის, ინგა ნიკოლეიშვილის, პოეზიის საღამო — **„გზას ტაძრისკენ ჩემებურად მივყვები"** — გაიმართა. V[6] კლასის მოსწავლეებმა პედაგოგ პოეტის ლექსები წაიკითხეს. მას დედისა და ქალთა დღესასწაული მიულოცეს და დაინტერესდნენ საყვარელი მასწავლებლის შემოქმედებითი ცხოვრებით, გულდასმით უსმენდნენ დასმულ შეკითხვებზე გაცემულ პასუხებს. დასასრულს თავად ინგა ნიკოლეიშვილმა წაიკითხა ჯერ გამოუქვეყნებელი ლექსები და საღამომ მსმენელებს სასიამოვნო წუთები აჩუქა...

საღამოს ხელმძღვანელი — ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი **დალი ვარდოსანიძე,** კლასის ხელმძღვანელი — **რუსუდან აბაშიძე.**

„უკან ჰრჩეს კვალი განათლებული..."

ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლაში აგლა აბზიანიძის სახელობის მათემატიკის კაბინეტი გაიხსნა

ის არ ყოფილა ჩვეულებრივი, რიგითი მასწავლებელი, არც „მასწავლებელთა მასწავლებელი" და არც „მათემატიკის მინდია" უწოდეს უბრალოდ და შემთხვევით.

„ვერ წარმოგვიდგენია, ვინმე უკეთესად ასწავლიდეს მათემატიკას, ვიდრე აგლა მასწავლებელი გვასწავლიდაო" — ერთხმად აცხადებენ მისი ყოფილი მოსწავლეები, დღეს უკვე ცნობილი მათემატიკოსები, მეცნიერები, წარმატებული ადამიანები.

3 მარტს **აგლაია აბზიანიძე** 85 წლის გახდებოდა.

ამ დღეს ანდრია რაზმაძის სახლობის ქუთაისის 41-ე ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში, იქ, სადაც 35 წელზე მეტი იმუშავა აგლა მასწავლებელმა, მისი სახელობის მათემატიკის კაბინეტი გაიხსნა.

კაბინეტს სასკოლო მუზეუმის ფუნქციაც ექნება და აქ გამოიფინება ის უამრავი პრიზი, ჯილდო, დიპლომი, სიგელი, თასი, რასაც ამ სკოლის აღსაზრდელები და პედაგოგები საერთაშორისო თუ რესპუბლიკურ ასპარეზზე მოიპოვებენ. აქვე მოეწყობა საკონფერენციო დარბაზიც.

კაბინეტ-მუზეუმს პირველი ექსპონატები აგლაია აბზიანიძის ოჯახის წევრებმა გადასცეს — მისი პირადი ბიბლიოთეკა, ძირითადად, მათემატიკური ლიტერატურაა.

გენადი მარგველაშვილი (ანდრია რაზმაძის სახელობის 41-ე სკოლის დირექტორი): „ჩვენთვის დიდი პატივია, რომ ამ სკოლაში ათწლეულების მანძილზე მოღვაწეობდა ისეთი გამორჩეული პედაგოგი, როგორიც იყო აგლაია აბზიანიძე. ლეგენდად დარჩა მისი სახელი და არა მხოლოდ ჩვენს სკოლაში. ის იყო მასწავლებლის ეტალონი და მათემატიკაზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი. იმდენად უყვარდა მათემატიკა, რომ იმასაც კი აპროტესტებდა, ფიზიკა-მათემატიკური კი არა, მათემატიკა-ფიზიკის უნდა ჰქვიოდეს ჩვენს სკოლასო. იდეა მისი სახელობის კაბინეტის გახსნისა, სკოლაში გაჩნდა, აგლა მასწავლებლის ოჯახიც გვერდით დაგვიდგა და დღეს, მის დაბადების დღეს, გავხსენით ეს კაბინეტი, სადაც, გარდა იმისა, რომ არაერთი საინტერესო ღონისძიება მოეწყობა, მომავალი თაობები იმასაც ნახავენ, როგორ ფასდება ღვაწლი და ამაგი ისეთი პედაგოგებისა, როგორიც იყო აგლა მასწავლებელი".

3 მარტს, „დედის დღეს", აგლა მასწავლებლის სახელობის კაბინეტის გახსნაზე შეიკრიბნენ მისი ყოფილი მოსწავლეები, კოლეგები, ოჯახის წევრები. ლენტის გაჭრის პატივი ქუთაისის მერს, შოთა მურღულიას და სკოლის დირექტორს, გენადი მარგველაშვილს ერგო.

სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს აგლა მასწავლებლის ბიოგრაფია, წაიკითხეს წერილები მისი პირადი არქივიდან, ეკრანზე მიდიოდა კადრები და ყველა ერთად ცრემლიანი თვალებით, მაგრამ მაინც ხალისით და დიდი სითბოთი იხსენებდა მას.

დარბაზში იყვნენ ქალბატონ აგლაია აბზიანიძის მეუღლე — ბატონი **ნოდარ ჯუღელი,** შვილები: **თემური, ვაჟა და ქეთევან ჯუღელები,** შვილიშვილები.

შოთა მურღულია (ქ.ქუთაისის მერი)**:** „როცა მასწავლებელს ასეთ პატივს მიაგებენ, ეს სტიმულია ახალი თაობისთვის. დღეს აქ კიდევ ერთხელ გამოჩნდა მასწავლებლის როლი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესში და საამაყოა, რომ ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკურ სკოლას ჰყავდა ქალბატონი აგლა აბზიანიძე, რომლის წვლილიც ამ სკოლის მიღწევებში ნამდვილად განუზომელია. ჩემთვის ორმაგად სასიხარულოა ის ფაქტიც, რომ აგლა მასწავლებლის შვილი, **ვაჟა ჟუღელი** ქუთაისის მერიაში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობს და მის ყოველ ნაბიჯს ეტყობა, როგორი დედის გაზრდილია. მე თავადაც პედაგოგის შვილი ვარ, დედაჩემი დღესაც აგრძელებს პედაგოგიურ საქმიანობას

და ამიტომაც, კიდევ ერთხელ მოწიწებით ვხრი თავს ყველა მასწავლებლის წინაშე".

გიორგი ონიანი (ყოფილი მოსწავლე): „მე მქონდა პატივი, ვყოფილიყავი აგლა მასწავლებლის მოსწავლე და თუ მე დღეს ვარ შემდგარი და წარმატებული მათემატიკოსი, ამ ყველაფერს საფუძველი სწორედ აგლა მასწავლებელმა ჩაუყარა. ის იყო თხემით ტერფამდე მასწავლებელი. მას დიდი პოტენციალი ჰქონდა იმისი, რომ ყოფილიყო მეცნიერი, მკვლევარი, თუმცა მან მასწავლებლობა არჩია, უამრავ ბავშვს შეაყვარა მათემატიკა და განსაზღვრა მათი მომავალი."

ზაზა სოხაძე (ყოფილი მოსწავლე): „აგლა მასწავლებელი ჩემთვის იყო დედის დარი ადამიანი, მასწავლებელზე ბევრად მეტი, დღემდე მახსოვს მისი გაკვეთილები, როგორც მათემატიკის, ასევე ცხოვრების და მგონია, რომ ვერასდროს გადავიხდით მის ამაგს მისი ყოფილი მოსწავლეები."

გიორგი მანდარია (ყოფილი მოსწავლე): „მათემატიკის უამრავი კარგი მასწავლებელი მინახავს, ჩვენთანაც, საზღვარგარეთაც, მაგრამ დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ წარმოუდგენელია, ვინმე უკეთესად ასწავლიდეს მათემატიკას, ვიდრე აგლა მასწავლებელი ასწავლიდა. ის, მას შემდეგაც, რაც ჩვენ სკოლას ვამთავრებდით, სულ ინტერესდებოდა ჩვენი შემდგომი ცხოვრებით, წარმატებებით. დღემდე საკუთარ მშობლად ვთვლი."

ბადრი ვაშაკიძე (ქუთაისის განათლების რესურს-ცენტრის უფროსი): „მე არ ვიცნობდი ქალბატონ აგლაიას, თუმცა ბევრი რამ მსმენოდა მასზე აქამდეც და ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ღირსეული ადამიანი, გამორჩეული პედაგოგი დავაფასეთ დღეს. ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ გმირები ჩვენს გვერდით ცხოვრობენ და მაგალითს გვაძლევენ თავიანთი ცხოვრებით და მოღვაწეობით."

მზია ანთიძე (41-ე სკოლის პედაგოგი): „აგლა მასწავლებელი იყო ჩემი გზამკვლევი პედაგოგობის ურთულეს სამყაროში. პირველ გაკვეთილზე მიმავალ ახალბედა მასწავლებელს კიბესთან დამხვდა და მითხრა: შვილო, ნუ შეგეშინდება, კლასში რომ შეხვალ, დაელოდე, სანამ ყველა არ დაწყნარდება და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყე გაკვეთილიო. ძალიან გამომადგა მისი ეს რჩევა. სანამ ერთად ვმუშაობდით, სულ ვგრძნობდი მის თანადგომას."

ლია კუხიანიძე (41-ე სკოლის პედაგოგი): „ის, რომ ჩვენ დღეს ამდენს ვსაუბრობთ აგლა მასწავლებელზე, რომ მისი სახელობის კაბინეტი გავხსენით, ეს ჩვენ უფრო გვჭირდება სტიმულისთვის, მომავალი მუშაობისთვის. მე მიხარია, რომ მის გვერდით ვმუშაობდი წლების მანძილზე და ვხედავდი იმ დიდ შრომას, რასაც ის ეწეოდა თითოეულ მოსწავლესთან. იყო ძალიან სამართლიანი და ამიტომაც არის, რომ ის მოსწავლეებიც კი, რომლებსაც არცთუ კარგი ნიშნები ჰყავდათ მათემატიკაში, დღესაც დიდი სიყვარულით საუბრობენ მასზე.

კარგი სკოლა არის ის, სადაც მოსწავლეს უნდა, რომ წავიდეს იმ სკოლაში, მშობელს უნდა, რომ მისი შვილი იმ სკოლაში სწავლობდეს და მასწავლებელს არ უნდა, რომ წავიდეს იმ სკოლიდან. და თუ ჩვენი სკოლა სწორედ ასეთ სკოლად, ერთ-ერთ გამორჩეულ სკოლად ითვლება დღეს მთელს საქართველოში, ამაში ლომის წვლილი აგლა მასწავლებელს მიუძღვის."

აკაკი მარგველაშვილი (ყოფილი მოსწავლე): „მე ვიყავი აგლა მასწავლებლის ბოლო სადამრიგებლო კლასის მოსწავლე. თავიდანვე შეამჩნია ჩემში მათემატიკის განსაკუთრებული სიყვარული და ამის გამო ჩემს სიცელქეს მპატიობდა, თუმცა შენიშვნებსაც ხშირად მაძლევდა. ის ჩემი მეზობელიც იყო და როცა უკვე აღარ მუშაობდა სკოლაში, ხშირად დამირეკავდა და მეტყოდა, აკაკი, ისეთი საინტერესო ამოცანა ვნახე, გადმოდი, ერთად ამოვხსნათო. მერეც, როცა მე წავედი ქუთაისიდან, სულ კითხულობდა ჩემს ამბავს. და თუ დღეს მე მასაჩუსეტის უნივერსიტეტში ვარ და ღირსეულად წარმოვაჩენ საქართველოს, ამაში უდიდესია აგლა მასწავლებლის წვლილი."

ქეთევან ჯუღელი (ქალიშვილი): „ძნელია დედაზე ასე საჯაროდ და ხმამაღლა საუბარი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა: დედა მართლაც საოცარი ადამიანი იყო, ახსოვდა ყველა მისი მოსწავლე, როდის სწავლობდა, როგორ სწავლობდა, ვინ ვის კლასში იყო, ყოველ მათგანზე დიდი სითბოთი და სიყვარულით საუბრობდა სულ. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი იყო: შესანიშნავად კერავდა, ქარგავდა, ქსოვდა, აცხობდა, მღეროდა, უკრავდა, ცეკვავდა. სამი შვილის დედობას, მეუღლეობას და მასწავლებლობას კარგად უთავსებდა ერთმანეთს. სკოლა მისი მეორე ოჯახი იყო და აქაც სულ ისე მოუხაროდა, როგორც საკუთარ სახლში. უღრმეს მადლობას მოვახსნე, ყველას, ვინც დღეს ასე თბილად და დიდი სიყვარულით გაიხსენეთ დედა."

სიმბოლურია ისიც, რომ იმ დღეს პირველად გაჟღერდა „ფიზ-მათის" ჰიმნი, რომლის ავტორიც გახლავთ სკოლის დირექტორი გენადი მარგველაშვილი.

ირმა მარდალეიშვილი

ინგლისური ენის ოლიმპიადა ქუთაისის №3 საჯარო სკოლაში

სსიპ წმ. ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის №3 საჯარო სკოლა პარტნიორ ორგანიზაციებთან (ამერიკის საელჩო საქართველოში, ბრიტანეთის საბჭო, საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალი) ერთად ატარებს ოლიმპიადას **ინგლისურ ენაში.**

კონკურსის პირობები

ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლების მე-7-მე-8 კლასის მოსწავლეებს. ოლიმპიადა ჩატარდება სამ ტურად.

პირველი ტური — ტესტური დავალება (კითხვა, ლექსიკა, გრამატიკა, ფუნქციები)
მეორე ტური — ტესტური დავალება, მოსმენა
მესამე ტური — ტესტური დავალება, საუბარი

კონკურსში გამარჯვებულებს გადაეცემათ წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის №3 საჯარო სკოლისა და პარტნიორი ორგანიზაციების მიერ დაწესებული დიპლომები, სერთიფიკატები, პრიზები. კონკურსის საუკეთესო სამეული კი დაჯილდოვდება ფასიანი საჩუქრებით. ხოლო რეიტინგის მიხედვით პირველ ოც მოსწავლეს ჩაუტარდებათ სასწავლო-შემეცნებითი ტრენინგი ინგლისურ ენაში უცხოელ პედაგოგთან ერთად.

ოლიმპიადის ჩატარების განრიგი:

I ტური ჩატარების თარიღი,
დრო — 25-26 აპრილი
10:00/12:00/14:00/16:00
II ტური ჩატარების თარიღი,
დრო — 23-24მაისი
10:00/12:00/14:00/16:00
III ტური ჩატარების თარიღი,
დრო — 7 ივნისი, 10:00 /12:00

რეგისტრაცია
ოლიმპიდაში მონაწილეობის მისაღებად დაწვრილებით ინფორმაციას გაეცანით წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის №3 საჯარო სკოლის ვებ-გვერდზე www. mesame.edu.ge, რეგისტრაციის გავლა შესაძლებელია როგორც ინტერნეტით, ასევე ოლიმპიადის საორგანიზაციო ჯგუფთან.
რეგისტრაცია მიმდინარეობს 2015 წლის 10 მარტიდან 18 აპრილის ჩათვლით.

სამივე ტურში მონაწილეობის მიღება უფასოა.

ვაკანსია!

ქუთაისის კერძო დაწყებითი სკოლა „ღონე ქვეყნისა" აცხადებს ვაკანსიას:

პოზიცია: დაწყებითი საფეხურის მასწავლებელი;

მოთხოვნები:

1. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კომპეტენციები: http://www.tpdc.ge/…/pdf_docum…/damtkicebuli%20standarti.pdf;

2. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის შესაბამისი საგნობრივი სტანდარტების შესაბამისი კომპეტენციები: http://www.tpdc.ge/?action=page&p_id=109&lang=geo;

განაცხადი და რეზიუმე შეგიძლიათ გამოაგზავნოთ მისამართზე:
manana.qarqashadze@gmail.com
რეზიუმეების განხილვის შედეგად, დაკავშირება მოხდება მხოლოდ გასაუბრების ეტაპზე გადასულ კანდიდატებთან.

დაგვიკავშირდით შემდეგ მისამართზე:

ქუთაისი, როძევიჩის ქუჩა №2;

საკონტაქტო ტელეფონები:
24 68 03;
21 47 42

ელექტრონული ფოსტა:
Gone.qveynisa@gmail.com

ფეისბუკი: https://www.facebook.com/ShpsghoneKveqnisaKerdzoDatsqebitiSkola?ref=hl/
ვებ გვერდი:
www.countrypower.com.ge

რა დავალება მისცა ილია მეორემ ნათლულებსა და მათ ოჯახებს

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკვირაო ქადაგებისას მის ნათლულებს და მათ ოჯახებს ორი დავალება მისცა. უწმინდესმა მათ დაავალა, მოძებნონ ისეთი გაჭირვებული ადამიანები, რომლებსაც არ ჰყავთ მომვლელები და მოუარონ, ასევე, დარგონ 7 მარადმწვანე — კედრის ან ნაძვის ნერგი. „ჩემს ნათლულებს და მათ მშობლებს ეძლევათ ლოცვა-კურთხევა, რომ გამონახონ გაჭირვებული ადამიანები. მრავალი ადამიანია მწოლიარე, მრავალ ადამიანს არ ჰყავს მომვლელი, წყლის მიმწოდებელიც კი. გამონახეთ ასეთი ადამიანები და კვირაში ერთხელ მაინც მიდით და შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ. ეს იქნება საჭმლით, ჩასაცმელით, თუ თბილი სიტყვით," — ბრძანა პატრიარქმა.

უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, პატრიარქის ნათლულებმა და მათი ოჯახის წევრებმა 7 მარადმწვანე ნერგი უნდა დარგონ. „მეორე დავალება არის, რომ ჩემი ნათლულების ყველა ოჯახმა დარგოს მათი შვილების საკეთილდღეოდ ხეები. 7 მარადმწვანე ნერგი — კედრის და ნაძვის. ეს ორი დავალება უნდა შეასრულოთ და მადლი ღვთისა და წყალობა ღვთისა უხვად გადმოვა თქვენზე," — ბრძანა პატრიარქმა.

გახსენება

სულიკო ქაბზინაძე-კუხიანიძე

მაინც ვერ შევეგუეთ შენს მარადისობაში გადასვლას.

ყოველი მარტის მოსვლა ცხადად გვიახლოებს იმ დღეებს, როცა შენ ჩვენგან წადი და თან წაიღე ის სილაღე, რაც, მიუხედავად შენი ასაკისა, გახასიათებდა.

რაც დრო გადის (არადა უკვე 5 წელი გავიდა), ვფიქრობ, როგორ ახერხებდი შენ, ფიზიკურად ასეთ აუტანელ ტკივილებთან ერთად გემსახურა, ადამიანებს მოფერებოდი, ოჯახს გაძღოლოდი. არ გამოგრჩებოდა მეზობლის, ნათესავის პრობლემები, აუცილებლად გაითავისებდი და შეძლებისდაგვარად დაეხმარებოდი. ახლაც, როცა რაიმე პრობლემის წინაშე დავდგებით, გინატრებთ: „ახლა სულო იყოს ცოცხალი, რაღაცას მოიფიქრებდა-თქო".

როგორ გვიჭირს შენზე წარსულში წერა და მხოლოდ მოგონება. იმდენად ახალგაზრდული ენერგიით იყავი სავსე, გარშემო მყოფნი რაც უნდა ცუდ გუნებაზე ყოფილიყვნენ, შენს გვერდით სითბო და ღიმილი მოეფინებოდათ. მაგრამ არც შეტევა იცოდი ნაკლები. ამბობდი: საშუალო არაფერი მაქვს, სკოლაში ასე ვსწავლობდი, ან ორიანი, ან ხუთიანი, საშუალო ნიშანი არასდროს მიმიღიაო. შენს მეგობრებს და ნაცნობებს საოცრად უხაროდათ შენთან ურთიერთობა. რაც ასე გვაკლია დღეს. ყველა ჩვენი პრობლემებით ვართ დაკავებული, თითქოს აღარ გვაინტერესებს სხვას რა უჭირს, იქნებ ჩვენმა ერთმა სიტყვამ გაამხნევოს.

სიტყვა კი ისეთი გქონდა, წაქცეულს ააყენებდი, იმედს ჩაუსახავდი და ცდილობდი, პრაქტიკულადაც დახმარებოდი. საოცარი უნარი გქონდა ინფორმაციის მოპოვების, კულტურის მუშაკთა პროფკავშირში, სადაც შენ მუშაობდი, თითქმის ყველა წევრის ბიოგრაფია იცოდი. შენი იშვიათი მეხსიერების წყალობით, არაფერი გამოგრჩებოდა მხედველობიდან.

ახლა გადავხედე წინა წლების საგაზეთო მასალებს, სადაც შენს მიერ ჩატარებულ ღონისძიებებზეა საუბარი. როგორ კუთხეს მოუნახავდი ამა თუ იმ ღონისძიებას, განსაკუთრებით სპორტული ღონისძიებები გიზიდავდა. საერთოდ, შეჯიბრება შენი ჰობი იყო. აუცილებლად გამარჯვებული უნდა გამოსულიყავი. ახლა ვეღარ ვაწყობთ კულტურის პროფკავშირში ისეთ სპორტულ, ჟინიან შეჯიბრებას, სადაც მონაწილეობა ან შეხვედრა ზეიმში გადავა.

შენ ძალიან გიყვარდა პროფკავშირული მუშაობა. ადამიანებთან ურთიერთობის საოცარი უნარი გქონდა. არ გიყვარდა ოფიციალობა. ოფიციალურ ხალხს „გამოჩიკინებულებს" ეძახდი. იმდენს იზამდი, მაინც ბუნებრივ კალაპოტში ჩააყენებდი.

თუმცა, ხანდახან გულუბრყვილოდ ენდობოდი ადამიანებს, რომლებისთვისაც ღალატი ცხოვრების კრედო იყო. ვფიქრობ, ასეთმა ღალატმა ბოლოს და ბოლოს შენი სიცოცხლე არაპირდაპირად შეიწირა.

ბოლოს შენგან ინტერვიუ შენმა საყვარელმა ჟურნალისტმა, ნანული ცხვედიანმა, აიღო. მის მიერ გადაღებულ სურათზეც ის აუტანელი ფიზიკური ტკივილია ასახული. მაინც იბრძოდი, ბოლომდე იბრძოდი შენი და სხვისი სიცოცხლისათვის.

დარწმუნებული ვართ, მარადისობაში მყოფი შენი სული ისევ შენ საყვარელ ადამიანებს დატრიალებს და იქიდანაც კი ცდილობს მათ გამხნევებას.

ლალი ნიშნიანიძე

მოქალაქეებს დაუბეგრავი მინიმუმის დაბრუნება პირველი აპრილიდან შეეძლებათ

საქართველოს შემოსავლების სამსახურში აცხადებენ, რომ დეკლარაციის შევსება პირველი აპრილიდან დაიწყება და დაუბეგრავი მინიმუმი სამი თვის ვადაში ჩაირიცხება.

„დეკლარაციის შევსება 1 აპრილიდან დაიწყება, შევსებიდან სამი თვის განმავლობაში მოხდება თანხის ჩარიცხვა, თუ რა თქმა უნდა მას ბუღალტერია წესრიგში აქვს და შესაბამისად მიუთითებს იმ საბანკო ანგარიშს, რომლითაც სარგებლობს. პირობები იგივე იქნება, რაც 2014 წელს იყო, მოქალაქეს უნდა ჰქონდეს საბანკო ანგარიში და სისტემაში მთლიანად უნდა იყოს ნაჩვენები ის ხელფასი, რაც მას ერიცხება," — განაცხადა თამარ ანდროიძემ.

შეგახსენებთ, რომ დაუბეგრავი მინიმუმით სარგებლობა იმ მოქალაქეებს შეუძლიათ, რომლებსაც 2014 წელს ხელფასის სახით 1800-დან 6000 ლარამდე აქვთ აღებული. მოცემულ შემთხვევაში მოქალაქეს უფლება აქვს დაიბრუნოს 360 ლარი, ხოლო თუ ხელფასის ოდენობა 1800 ლარზე ნაკლებია, დაბრუნებას კონკრეტული თანხის 20 პროცენტი ექვემდებარება.

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წელს დაუბეგრავი მინიმუმი 470 ათასზე მეტ მოქალაქეს დაუბრუნდა და თანხის ოდენობა ჯამში 131 მლნ ლარზე მეტს შეადგენს. დეკლარაციის შევსება 1 აპრილიდან rs.ge-ზე შეგეძლებათ.

20 000-მდე პირს 1 მილიარდი ლარის საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერება

20 000-ზე მეტ გადამხდელს მთლიანობაში 1 მილიარდი ლარის საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერება, ამის შესახებ ფინანსთა სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე განაცხადეს.

„ბიზნესის მხარდასაჭერად სამინისტროს მიერ ინიცირებული პაკეტის თანახმად, გადასახადის 20 000-ზე მეტ გადამხდელს ჩამოეწერება საგადასახადო დავალიანება, მთლიანობაში ერთი მილიარდი ლარი. აღნიშნულის მიზანია ბიზნესის მხარდაჭერა და კერძოდ, იმ გადასახადის გადამხდელებს, რომლებსაც წლების განმავლობაში დაგროვილი აქვთ საგადასახადო დავალიანება და რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ განაგრძონ ბიზნეს-აქტივობა, შეეძლებათ სუფთა ფურცლიდან გააგრძელონ საქმიანობა.

3 612 გადამხდელს უკვე ჩამოეწერა დავალიანება. ჩვენს მიერ გაცხადებული 1 მილიარდი ლარი შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს, სისტემური ან ინდივიდუალური მომართვის საფუძველზე," — აცხადებენ ფინანსთა სამინისტროში.

ipress.ge

ვინ არის ფოჯოზე?

რას დაარქმევდით?

ირაკლი ღარიბაშვილი

სამძიმარი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინა კეთილაძეს, მამის,

შალვა ილიას ძე კეთილაძის,

გარდაცვალების გამო.

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მუზეუმის ყოფილი მეცნიერ-თანამშრომელი,

ლერი ანტონის ძე სულამანიძე

და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს.

ჯროსვორდი



ჰორიზონტალურად: 3. ძვ. ბერძენი ასტრონომი. შეადგინა ცის რუკები; 5. ხმელეთის უდიდესი ცხოველი; 6. ვენესუელას ყოფილი პრეზიდენტი ... ჩავესი; 8. გადაშენებული მორბენალი ფრინველი; 9. ხილის სახეობა; 11. დუნაის ძველი სახელი.

ვერტიკალურად: 1. ძვირფასი ქვა; 2. ხანა, ეპოქა, პერიოდი; 3. ძილის ღვთაება ბერძნულ მითებში; 4. მარქსი და...; 7. სპორტული ნავის სახეობა; 10. ხის წვრილი ტოტი.

ცვლილება ოთახის კუთხიდან

საქართველოს გაეროს ასოციაციამ და ახალი ამბების ინტერნეტ გამოცემა- www.civill.ge ბლოგერების კონკურსის გამარჯვებული ავტორები გამოავლინა. გაეროს რჩეულები გახდნენ: ოლიკო ცისკარიშვილი, მაგდა ჩინიჯიშვილი და ბექა გაბადაძე.
ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამამ განახორციელა პროექტი COBERM. ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა ინეტერნეტ-რესურსი www.opinion.civil.ge, სადაც ნებისმიერ ბლოგერს შეეძლო, საკუთარ ბლოგზე უკვე გამოქვეყნებული მასალის ატვირთვა. ბლოგ-პოსტების თემატიკა მრავალფეროვანი გახლდათ: გენდერი, ადამიანის უფლებები, ეკოლოგია, სამოქალაქო საზოგადოება და სხვა.
დაახლოებით 50 ავტორიდან, მკითხველთა მოსაზრებების და გაეროს ასოციაციის შეფასებების საფუძველზე შეირჩა სამი გამარჯვებული. ისინი სერთიფიკატებით და სამახსოვრო, ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ. გაზეთ „პოსტსკრიპტუმის" რედაქცია ულოცავ სამივე გამარჯვებულს და შემდგომ წარმატებებს უსურვებს. ჩვენ განსაკუთრებით გვეამაყება მაგდა ჩინიჯიშვილის გამარჯვება, რადგან ის წლების მანძილზე იყო ჩვენი გაზეთის ჟურნალისტი და დღესაც აქტიურად თანამშრომლობს რედაქციასთან.
აქვე გთავაზობთ მაგდას ერთ-ერთ საინტერესო ბლოგს.



უპრეტენზიო და შეგნებული ქმარი მყავს. შესაძლებლობების ფარგლებში თვითმმმსახურებაც შეუძლია. არც თანამედროვე ტექნოლოგიებთან არის მწყრალად და ინტერნეტ-სივრცესთანაც მეგობრობს, მაგრამ ამ დილით ასე მომმართა: „წინდა მომაწოდე, შე ბლოგერო"...

ცუდად მენიშნა! მომართვას ახლდა ღიმილი, მაგრამ ოდნავი აგრესიაც იგრძნობოდა.

დავფიქრდი, რა უნდა იყოს ამის მიზეზი. მასაც შევეკითხე, ისევ ღიმილით მიპასუხა: „კაი, რა, რა აგრესია".

„ჩამოვყარე" ვერსიები და ყველა ვერსია ერთ მთავართან მივიდა — აქტიურობა!

ორი დღეა, ლეპტოპთან უფრო მეტ დროს ვატარებ, ვიდრე, მაგალითად, ქურასთან.

აქტიურ და დასაქმებულ მამაკაცს რატომ უნდა აღიზიანებდეს „სახლიდან გაუსვლელად" აქტიური ქალი?!

ქალი, რომელიც ცვლილებებისთვის მზადაა.

ჩემმა მეუღლემ „სატოპკე" თემა მომაწოდა, მე განზოგადებას შევეცდები.

***

მე ქალი ვარ! ყოველდღიურად ოჯახში უამრავ საქმეს ვაკეთებ. მყავს სამი შვილი (რას გადაგვაყოლე, 12 ჰყავს ხალხს), რომლებსაც რომ ვაჭამო, საჭმელი უნდა გავუკეთო... რომ ჩავაცვა, უნდა დავაუთოვო. რომ ვამეცადინო, წიგნთან უნდა მივიყვანო და მეც იქ დავრჩე... რომ გავასეირნო, თავად უნდა გავყვე... სუფთად რომ იყვნენ, უნდა ვაბანაო... რომ დავარიგო...

რომ დავამშვიდო...

ამას ემატება ქმარი, რომელიც იმას არ ჭამს, რასაც შვილები. მის ტანისამოსს სხვაგვარი მოვლა სჭირდება. ჭურჭელიც უნდა დავრეცხო, სახლიც დავალაგო, თავიც მოვიწესრიგო, სტუმარიც მივიღო...

მოკლედ, ქალის საქმიანობის ყოველი დღე მიზეზ-შედეგობრივად დატვირთულია.

თუ აქტიური ქალი ხარ (ან იყავი), აუცილებლად იგრძნობ, რომ რაღაც გაკლია.

აქტიურობა ენერგიულობა არ არის.

ენერგიულობა ბევრი საქმის სწრაფად გაკეთებას ნიშნავს. აქტიურობაც საქმის კეთებაა — მიზანმიმართულად, გონებით და ინტელექტით. აქტიური რომ იყო, ენერგია უნდა გქონდეს. ენერგიულობა კი, აქტიურობის გარეშეც მშვენივრადაა შესაძლებელი.

რვა წლის წინ აქტიური რეჟიმიდან მოწყვეტით გადავედი ენერგიულ რეჟიმში — გავთხოვდი და სამსახურიდან საოჯახო საქმეებზე გადავერთე. ვაკეთებდი ბევრ საქმეს, თანაც ძალიან სწრაფად. მეუღლე შეეჩვია (მიუხედავად იმისა, რომ მან მე აქტიურ ფაზაში გამიცნო) ჩემს ენერგიული მეოჯახე ქალის იმიჯს. კომფორტია, როცა სადილს გიმზადებენ, გაწესრიგებენ, თბილ სახლს გახვედრებენ, თან შენი გვარის დემოგრაფიაზეც ზრუნავენ.

ცოტა რომ შეემსუბუქებინა შრომა, ჯერ მტვერსასრუტი მიყიდა. ცოტა ხანში — სარეცხი და ხორცსაკეპი მაქანები და ახალი მაცივარიც. რომ არ მომწყენოდა, ახალი კომპიუტერიც შეიძინა (უფრო თავისთვის). მალე მივხვდი, თანამედროვე ტექნიკამ დღის მანძილზე გარკვეული დრო გამომითავისუფლა. ბავშვებიც წამოიზარდნენ და დროის მონაკვეთი უფრო გაიზარდა.

თავისუფალმა დრომ მისი შევსების მოთხოვნილება მოიყოლა — მუშაობა მომინდა!

გადმოვიღე ჩემი რეზიუმე და გადავაგზავნე ყველგან, სადაც სამუშაო დღე 10-ზე იწყებოდა და 6-ზე მთავრდებოდა. არ გაამართლა.

სტილი შევცვალე: გადავაგზავნე ყველგან, სადაც საზოგადოებასთან ურთიერთობის, კომუნიკაციების სპეციალისტებს ითხოვდნენ (ჟურნალისტიკასთან ახლოა) — არც ამან გაამართლა.

ერთხელ ფეისბუქზე მომწერეს: ამაში სხვა ფულს გადაგახდევინებთ, ჩვენ კი უფასოდ გთავაზობთ ვებინარს თემაზე — როგორ დაიწყოთ საკუთარი ბიზნესიო. პრინციპში, არც ამან გაამართლა, — ქსელური მარკეტინგის რეკლამა აღმოჩნდა.

მთელი გულით ვცდილობდი, ჩემს ცხოვრებაში ცვლილებები მომეხდინა. შინაგანად მზად ვიყავი ცვლილებებისთვის, მეუღლეც მაქეზებდა, მიდი, შენთან ვარო. საჯარო მოხელის რამდენიმე გასაუბრებაზეც გავედი, მაგრამ „ფონად" ყოფნა არ მომეწონა და დეპრესიაც დაიწყო...

ოჯახური საქმისგან თავისუფალ დროს ინტერნეტში ვიქექებოდი და რაღაცებს ვკითხულობდი. და უცებ — „ევრიკა" — შენს ირვლივ სიტუაციის შესაცვლელად ჯერ შენს შიგნით უნდა შეცვალო რამე!

ცვლილებები საკუთარი თავიდან დავიწყე. მივხვდი, გამოტოვებული რვა წელი ერთი ნახტომით უნდა ამომევსო! წავიკითხე სასწავლო მასალები ფიარ-ტექნოლოგიებსა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტზე. დავფიქრდი, როგორ აღმედგინა კომუნიკაცია ჩემს მკითხველთან სახლიდან გაუსვლელად (საწყის ეტაპზე). კომპიუტერით — ჩვენი 20 კვადრატული ოთახის ერთი კუთხე ხომ მთელ სამყაროს უკავია! წინა დღეებში მეგობარი ბლოგზე მესაუბრა და მითხრა, უნდა გასწავლოო (სამწუხაროდ, იმ დღეს ვეღარ მოიცალა), მე კი ვეღარ მოვითმინე: რა არის, რასაც ადამიანი გულით მოინდომებს და ვერ ისწავლის? არაფერი! ასე გავაკეთე ბლოგი უცნაური სახელით: WIND Or A WOMAN's BLOG და ბლოგერი გავხდი!

ვიცი, ინტერნეტ-სამყაროში ათასობის ბლოგერია, მე „ძაან ბომბი" უნდა დავწერო, პოპულარული რომ გავხდე. მე რომ მეწერინება, შეიძლება, არაპოპულარული თემებია, მაგრამ, მირჩევნია სიმართლეზე, ნამდვილ შეგრძნებებზე ვწერო.

იმედია, მეუღლეც გაგებით მოეკიდება, ქურასთან ნაკლებ დროს რომ გავატარებ და ასეთ დროს საწოლშიც არ ვიქნები (ოთხი სრულდება).

იმედია, ცვლილებებზე, ქალის უფლებებზე და თავისუფლებაზე საუბრის მერე, არ მეტყვის: „შედი, ქალო, ბუტკაში... „კუხნაშია" თავისუფლება!"

შვილებიც შეეჩვევიან, რომ დედა კომპიუტერთან ცოტა უფრო მეტ დროს ატარებს. სამაგიეროდ, მიხვდებიან, რომ დედას, ერბოკვერცხის შეწვის გარდა, სხვა რამეებიც შეუძლია!

მე უკვე ვმუშაობ! კომუნიკაციას თავიდან ვამყარე, მკითხველთან. მინდა ჩემი ბლოგი პოპულარული და კითხვადი იყოს. ბლოგ-პოსტებით ვცდილობ, ცვლილება სხვა ადამიანებში (ზე) მოვახდინო.

მართალია, ფულს ჯერ არავინ მიხდისბ მაგრამ მაგის დროც მოვა...

გეგმის პირველი ნაწილი — აქტიური ქალის ეგო — დაკმაყოფილებულია!

ქალბატონებო, ვისაც ცვლილება გინდათ, გახსოვდეთ, ცვლილება საკუთარი თავით და ოთახის პატარა კუთხით იწყება!

P.S. შეგონებები:
არ დაანებოთ სამსახურს თავი გათხოვების გამო.
მხოლოდ ერთი მხარის კომფორტი ოჯახის დისკომფორტია!
შენს ირგვლივ ცვლილებები საკუთარი თავით დაიწყე!

მაგდა ჩინიჯიშვილი

„ქუთაისელი ქალბატონები" ძველ ქუთათურ ფოტოგრაფთა თვალით

ფოტოგამოფენამ, რომელიც ქუთაისში, „თი ბი სი" ბანკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ა(ა)იპ ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანებისა და მისი ფილიალის — დავით მხეიძის სახელობის ფოტო-კინო მატიანის მუზეუმის ორგანიზებით, თავისი არქაული სილამაზითა და სიღრმით გააოგნა დამთვალიერებელი.

ექსპოზიციაში წარმოდგენილი იყო ალექსანდრე მიხაილოვის, კოწია ლორთქიფანიძის, კუჩუხოვისა და სხვა ძველ ქუთაისელ ფოტოხელოვანთა მიერ შესრულებული პორტრეტების გადიდებული, ორიგინალთან მაქსიმალურად მიახლოებული ვერსიები. ზოგიერთი სახე — ვთქვათ, ფოტოგრაფ მიხაილოვის მეუღლე (ჩირაძის ქალი), ნიკო ლორთქიფანიძის დედა, შალვა დადიანის „ჰარამხანაში" აღბეჭდილი რამდენიმე მშვენიერი ბანოვანი, მინდია უგრეხელიძის დიდი ბებიები და კიდევ სხვები — შთამომავლობისათვის რეალურად ცნობილია, ბევრი კი, ჯერჯერობით, დაუდგენელი უცნობი ქალბატონია.

მაგრამ ეს როდია მთავარი, გაცილებით მნიშვნელოვანია ამ ფოტოსურათთა დიდი მხატვრული ღირებულებების შინაგანი ძალა და სულიერი წყობა, აწ გარდასული ქალბატონებისა და გოგონების გამოხედვაში რომ იგრძნობა, მათი ულამაზესი კაბების, სამკაულების, ვარცხნილობის ორიგინალურობა, ფოტოგრაფ-ხელოვანთა ხედვის ძალიან საინტერესო რაკურსი, მოკლედ, ათასი რამ. ასეთი ბუნებრივი სიხარული, კარგა ხანია, არ მიმიღია ქუთაისში გამართული გამოფენებიდან. საზოგადოებაც ფრიად აღფრთოვანებული იყო. ყველანი განსაკუთრებულ მადლობას ვუხდიდით ამ გამოფენის უმთავრეს შემოქმედს — ფოტო-კინო მატიანის მუზეუმის დირექტორს რამაზ მორჩაძეს, რომლის მრავალწლიანმა ჯოჯოხეთურმა შრომამ, კერძო თუ საჯარო ორგანიზაციების არქივებში, ათას ხარახურასა და გადაყრილ ნივთებში განუწყვეტელმა ქექვამ, დიდმა მოწადინებამ ასეთი შესანიშნავი შედეგი გამოიღო.

ეს გამოფენა, — სახელწოდებით „ქუთაისელი ქალბატონები", — რომელიც მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ეპოქას ასახავს, ვფიქრობ, მთელმა საქართველომ უნდა ნახოს. მე არ ვიცი, ჩაიტანენ თუ არა მას თბილისში, მაგრამ, მერწმუნეთ, ეს არის უაღრესად აკადემიური, ნატიფი ექსპოზიცია, რომლისთვისაც მართლაც რომ უშედეგოდ არ დახარჯულა ბიუჯეტის ფული. აი, ამას ჰქვია ქუთაისის დიდი კულტურული ტრადიციის ჩვენება და გათანამედროვება. კიდევ იმას აღვნიშნავდი, რომ ამ გამოფენას ესწრებოდნენ ქუთაისური ფოტოგრაფიის ფუძემდებლის — ალექსანდრე მიხაილოვის შვილიშვილი და შვილთაშვილი. ესეც განსაკუთრებულ დატვირთვას სძენდა თაობათა უწყვეტ კავშირს. სულ ესაა. გმადლობთ დედის დღის ორიგინალურად მოლოცვისათვის.

ნანული ქვიშარელი